# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 26 ივლისი 2002 №138 (1660) | ფასი 50 თეთრი




# ფედერაციის აღმასკომს აღმასრულებელი მიადგება

## დავით პეტრიაშვილი უხმო ვეტერანებს საქმეს აქლევს

მე არც დონ კიხოტივით ქარის წისქვილებთან მებრძოლი ვარ, არც ბინძური თამაშის გამოცდილება და სურვილი მაქვს. არჩევნებში პირველად ვმონაწილეობ და მჯერა, გავიმარჯვებ — თავდაჯერებული იყო გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი დავით პეტრიაშვილი.

სფფ-ს თავკაცობის მოსურნეს, მისივე თქმით, ზურგს ფიფა-უეფას წესდებები და დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს 23 ივლისის განაჩენი უმაგრებს, თუმც სასამართლოს ზემოთ ხსენებულ გადაწყვეტილებას არც ამჟამინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ცნობს და არც ის ვეტერანები, რომელთაც მოსამართლე კვანტალიანმა ხუთი საარჩევნო ხმის ნაცვლად ერთი დაუტოვა.

მაგრამ პეტრიაშვილი შეუვალია და ჟორდანიას ფიფას წესდების მე-12 თავის პირველი მუხლის ყურადღებით წაკითხვას ურჩევს. ხოლო ვეტერანების დაფასების ამჟამად დამკვიდრებულ წესს — ოთხ წელიწადში ერთხელ საარჩევნო ხმების ჩამორიგებას, თავის მოტყუებას უწოდებს და ქართული ფეხბურთის ღვაწლმოსილთ, მისი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, დასაქმებას პირდება.

დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოში კი დღეს 24 აგვისტოს ყრილობაზე კიდევ ერთხელ იმსჯელებენ. სასამართლო, სავარაუდოდ, 23 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას მოსთხოვს ფედერაციას.

# იყო ქარი, იყო წვიმა

## ტორპედო ასე ვერ გაფრინდება

ფარერების კუნძულებზე მყოფ ქუთაისის „ტორპედოს" ზეცა გაუწყრა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, თერძი ბესო თუ არ გამოჩნდა, ჩვენებურები პრაღას ვერ ჩააღწევენ.

ქუთაისიდან ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩისთვის აბარგებულმა საქართველოს ჩემპიონმა უკანგამოსაბრუნებელი მარშუტი წინასწარ დაგეგმა. გუშინ დილით „ტორპედო" ტორსჰაგენიდან კოპენჰაგენს უნდა გამგზავრებულიყო და იქ მომლოდინე თვითმფრინავით პრაღისკენ, „სპარტასთან" სათამაშოდ გაფრენილიყო. ფარერების ცამ პირი მოაღო, ქარმა ლამის იქაური კუნძულები გააერთიანა, „ტორპედო" და მატჩზე დამსწრე „სპარტას" სამი წარმომადგენელი კი ტორსჰაგენში ჩარჩნენ და ამ დილამდე კოპენჰაგენს ეგებ ჩაფრენილნიც არ იყვნენ.

აკი ამბობდა კიდეც ფარერელთა პოლონელი მწვრთნელი პიოტრ კრაკოვსკი ქუთაისში სტუმრობისას, ჩვენთან წელიწადში 360 დღე კოკისპირულად წვიმს, რასაც ქარბორბალაც ერთვისო.

ბოლო ინფორმაცია კი, რაც გვიან ღამით შევიტყვეთ, ისაა, რომ კოპენჰაგენიდან ტორსჰაგენისკენ თვითმფრინავი გაფრენილა და „ტორპედოც", ალბათ, უკვე კოპენჰაგენში იქნება. იქიდან კი პრაღაა, სადაც ქუთაისელებს შინ დარჩენილი სამი ფეხბურთელი — სევასტი თოდუა, გიორგი სულაბერიძე და ვახტანგ ხვადაგიანი დახვდება.



# არ ვარ მე დონ კიხოტი!

## პეტრიაშვილს ჟორდანიასი და ჩხაიძის სჯერა

## დღეს სასამართლო დაუყოვნებლივ აღსრულებას მოითხოვს



დავით პეტრიაშვილი და დავით ებრალიძე

*ჟურნალისტთა სახლში გუშინ მორიგი პრესკონფერენცია გამართა სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით პეტრიაშვილმა. ჟურნალისტებს მასთან ერთად იურისტი დავით ებრალიძე და პეტრიაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი კახა ჭუმბურიძე წარუდგნენ. მასპინძლებმა კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 23 ივლისის გადაწყვეტილების მნიშვნელობას. დავით პეტრიაშვილმა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ისაუბრა და სტუმრებს თავისი საარჩევნო პროგრამის ძირითადი თეზისები შეახსენა. თუ ჩემი პროგრამის განხორციელების შესაძლებლობა მომეცა, ქართული ფეხბურთი უზარმაზარ ნახტომს გააკეთებს — პრესკონფერენციის მსვლელობისას ეს სიტყვები არაერთხელ წარმოთქვა პეტრიაშვილმა. პრეზიდენტობის კანდიდატამდე იურისტმა ისაუბრა*

***დავით ებრალიძე:*** ფედერაციამ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოსთხოვა, რომ ჩვენი სარჩელი არ განეხილა. მოტივად, რაღა თქმა უნდა, ის მოიყვანა, რომ ეს საქმე მხოლოდ ფიფა-უეფას საარბიტრაჟო სასამართლოს გადასაწყვეტიაო. სასამართლომ სფფ-ის მოთხოვნას უარით უპასუხა, რადგან ჩვენი არგუმენტები გაცილებით მყარი იყო და მოსამართლე ნუნუ კვანტალიანმა ყველა პუნქტში დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა. ხვალ, 6 საათზე, კიდევ ერთი სხდომა გაიმართება, რის შემდეგაც სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას მოსთხოვს ფედერაციას. სფფ-მ საქართველოს კანონმდებლობას გვერდი არ უნდა აუაროს და დაუყოვნებლივ შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება. კი, ბატონო, დავუშვათ, პეტრიაშვილი შეცდა, სამოქალაქო სასამართლოს კარამდე რომ მივიდა, ჟორდანია, ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელი თავისი სახელმწიფოს წეს-კანონს ხომ უნდა ემორჩილებოდეს. განა ეროვნული ატრიბუტიკით არ თამაშობს ნაკრები, ეროვნულ ჰიმნს არ უხრის თავს მატჩის წინ? მაშინ უარი თქვას ჟორდანიამ ეროვნულობაზე და ფიფა-უეფას ჰიმნზე გადაიყვანოს საქართველოს ნაკრები. ეს ხომ წარმოუდგენელია. ამიტომ ადამიანმა თავისი ქვეყნის კანონმდებლობას არ უნდა შეაქციოს ზურგი.

ფედერაცია მომხდარს ფიფა-უეფას წესდების დარღვევად განიხილავს და სახელმწიფო ინსტანციის გადაწყვეტილებას არ ემორჩილება, ჩვენს ოპონენტებს, რაღა თქმა უნდა, აქვთ აპელაციის უფლება, მაგრამ არც ერთი იურისტი არ ურჩევს სფფ-ის ჩინოსნებს ამის გაკეთებას, რადგან ნებისმიერ ინსტანციაში წააგებენ პროცესს.

***დავით პეტრიაშვილი:*** სასამართლომდე მქონდა კონსულტაციები ფიფა-უეფას იურიდიულ კომიტეტებთან. პასუხი ცალსახა იყო — ამ პრობლემის გადაჭრა ექვემდებარება ადგილობრივ კანონმდებლობას. ფიფას წესდების მე-12 თავის პირველ მუხლში გადაჭრითაა ნათქვამი, რომ ერთ სუბიექტს ერთი საარჩევნო ხმა უნდა ჰქონდეს, იმავე თავის მეხუთე მუხლის თანახმად, აღმასკომის წევრს არა აქვს საარჩევნო ხმის უფლება. მოკლედ, ნათელია, რომ გვარიანად გაუმართავია ჟორდანიას კანონები. ამიტომაც იყო, ფიფამ ცოტა ხნის წინ სფფ-ს წესდება რომ მოსთხოვა. ეს ფაქტობრივად იმასაც ნიშნავს, რომ სფფ-ს თავისი წესდება ფიფა-უეფასთან შეთანხმებული არა აქვს.

ვიცი, რომ სასამართლოს შემდეგ სფფ-მ უეფაში წერილი გაგზავნა, სახელმწიფოდან ზეწოლის შემდეგ შეგვიკვეცეს საარჩევნო ხმებიო. აბსურდია იმის თქმა, რომ უეფა დაუყოვნებლივ რისხვას დაგვატეხს, ასეთი სოლიდური ორგანიზაცია წერილების საფუძველზე არ იღებს გადაწყვეტილებებს. ევროპული ფეხბურთის მამები საფუძვლიანად გაეცნობიან ვითარებას და უფრო ისაა მოსალოდნელი, რომ თუკი ჟორდანიამ სასამართლოს გადაწყვეტილებას გვერდი აუარა და თავისი სცენარით ჩაატარა ყრილობა, მკაცრად დაისაჯოს, რადგან ასეთ დროს არჩევნების შედეგები ლეგიტიმური ვერ იქნება და გაყალბებისთვის პასუხი მოეთხოვება არა მარტო ორგანიზატორს, არამედ, მონაწილესაც. ამიტომაც უმჯობესი იქნება, თუ სფფ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას აღიარებს.

ვეტერანები [illegible] ინფორმაციის გამო [illegible] წინააღმდეგ განწყობილი. მათთან შეხვედრა რამდენჯერმე ვცადე, მაგრამ უშედეგოდ. დღეს საჯაროდ ვამბობ — რომ ვეტერანების დაფასება არ შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ იმით, რომ მათ ოთხ წელიწადში ერთხელ საარჩევნო ხმები ჩამოურიგონ. კარგია, რომ ფედერაცია ჩვენ დიდებულ წარსულს ერთჯერად დახმარებებს უწევს, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. მე ვფიქრობ, ვეტერანების მიმართ ყველაზე დიდი დახმარება ის იქნება, ეს ხალხი ქართული ფეხბურთის სამსახურში ჩავაყენოთ. ჩემი პროგრამა ითვალისწინებს ამას და მისი განხორციელების შემთხვევაში ნამდვილ თანადგომას ნახავენ ვეტერანები. გაიხსენეთ ის ხუთი ვეტერანი, ვისაც სფფ-მ საარჩევნო ხმის უფლება მისცა. არც ერთი მათგანი არ არის დღეს დასაქმებული ქართულ ფეხბურთში. მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული, გელა კეტაშვილი ფეხბურთს უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე საგზაო პოლიციას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, კანონის გვერდის ავლით ვეტერანთა თანადგომა არ მწამს, მწამს ჩემი პროგრამის, რომელიც რეალურად იძლევა ვეტერანთა დახმარება-თანადგომას და საქმის სწორად კეთების საშუალებას. ბინძური თამაშის არც გამოცდილება მაქვს, არც სურვილი. არჩევნებში პირველად ვმონაწილეობ და მჯერა, გავიმარჯვებ. ვერავინ ვერ დამარწმუნებს, რომ ჩხაიძეს და ჟორდანიას არ სურთ ქართული ფეხბურთის წინსვლა, მაგრამ მათ თავიანთი გზა აქვთ, მე — ჩემი. სფფ-ის მომავალი პრეზიდენტი არ უნდა იყოს ვილაცაზე განაწყენებული კაცი, არც დონ კიხოტივით ქარის წისქვილებთან მებრძოლი, პრეზიდენტი გაწონასწორებული ადამიანი უნდა იყოს.

პრესკონფერენციის ბოლოს დავით პეტრიაშვილი ჟურნალისტებს დაგვპირდა, მალე ჩემს მხარდამჭერ ოფიციალურ პრეზენტაციას მოვაწყობ და 24 აგვისტომდე სრულიად გამჭვირვალეს გავხდი საარჩევნო კამპანიასო.

**ბაატა ქვანტალიანი**

## საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის" განცხადება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ პრესის საშუალებით გააკეთა კომენტარი, სადაც აცხადებს რომ, ს.კ. „დინამო თბილისი" თანახმაა გადაიხადოს ჯარიმა სამივე სუბიექტის მაგიერ და თითქოს აქედან ჩანს ის რეჟისორი, რომელმაც დადგა ეს სპექტაკლი.

ამასთან დაკავშირებით გაგაცნობთ ს.კ. „დინამო თბილისის" მიერ სფფ-ს სახელზე გაგზავნილ წერილში დაფიქსირებულ ჩვენი კლუბის პოზიციას: „ჩვენ მზად ვართ, საქმის საბოლოო გარკვევამდე გადავიხადოთ სფფ-ს საგანგებო კომიტეტის მიერ ს.კ. „დინამო თბილისის", ს.კ. „მეტალურგის" და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის მიმართ უსაფუძვლოდ დაწესებული ჯარიმა 10-10 ათასი ლარის ოდენობით (სულ 30 ათასი ლარი)".

ასე რომ, ჩვენი კლუბი არ ცნობს ჯარიმას სამართლიანად და საკითხის საბოლოო გარკვევის იმედს იტოვებს, თუნდაც აღმასკომის მომავალ სხდომაზე.

ბოლოს კი დავსძენთ, რომ ს.კ. „დინამო თბილისს" დასამალი არაფერი აქვს და „სპექტაკლები" არ სჭირდება. ჩვენი კლუბი ყოველთვის ღიად აფიქსირებს თავის პოზიციას და თუ მას თანამოაზრენი ჰყავს, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ. რაც შეეხება „სპექტაკლს", ამის ნათელი გამოვლინება სფფ-ს საგანგებო კომიტეტის უკანასკნელი სხდომა გახლდათ.

რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით



ჩეხეთი — ნორვეგია. ჩეხმა პაველ მეზლიკმა მასპინძლები ბურთს არ მიაკარა

### შვეიცარია

B ჯგუფი. V ტური

კონკორდია 0:1 ლუგანო

### ფინეთი

გადადებული მატჩი

იარო 0:4 ჰიკ

### გერმანია

ლიგის თასი

ბაიერნი 2:2 დ.დ.(პენ 3:4) ჰერტა

### 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

A ჯგუფი. III ტური

ჩეხეთი 1:0 ნორვეგია

სლოვაკეთი 1:3 ესპანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ახლოვდება სფფ-ის ყრილობა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, დაძაბულობა და დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდება.*

*ჩვენ მეზობელ აზერბაიჯანში კი კარგა ხანია, აწეწილ-დაულაგებელი მდგომარეობაა ფეხბურთში. იქ განსხვავებული ვითარებაა, მაგრამ კონკრეტული პარალელების გავლება იქნებ შესაძლებელიც იყოს.*

*ერთი სიტყვით, აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ფუად მუსაევს ტელეფონით გავესაუბრეთ*

# აზერბაიჯანში ფედერაციას სასამართლოთი კი არა, ხიშტებით ებრძვიან

## ჟორდანიას მუსაევი გამოესარჩლა



ფუად მუსაევი

**— თქვენს საფეხბურთო მეურნეობაში ძალიან პრობლემატური ვითარებაა და რა კვალიფიკაციას მისცემდით ყველაფერ ამას?**

— უკვე შვიდი წელია, ასეთ დღეში ვართ. შეუძლებელია, ამას რაიმე ტიპის პრობლემა უწოდო. უბრალოდ რომ ვთქვათ, ყველაფერი კეთდება აზერბაიჯანულ ფეხბურთის გასანადგურებლად. მე კი არავის ზეწოლის და ნების ქვეშ არ მოვექცევი. ალბათ, იცით, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის გუნდებს იძულების წესით რომ აუკრძალეს თამაში. არადა, საამისოდ არანაირი მიზეზი არ არის, არც ოფიციალური პრეტენზიები არსებობს ვინმესგან.

**— რას ნიშნავს, იძულების წესით აუკრძალეს თამაში?**

— ძალადობით ათქმევინეს უარი ჩემპიონატში თამაშზე. წინა სეზონის პლეი ოფი დაწყებული იყო, ეს რომ მოხდა. გუნდებს გასახდელებთან უხვდებოდნენ და სტადიონიდან აძევებდნენ, მოედნიდანაც კი გაიყვანეს ძალით გუნდები. იყო ცემის ფაქტებიც. ჰოდა, ფიფამაც განიზრახა ჩვენი გარიცხვა, მაგრამ ვთხოვეთ, გარკვეული დროით ამ საკითხის გადადება. ამასობაში კი მსაჯები, ფეხბურთელები და მწვრთნელები უსაქმოდ, უმუშევრად არიან. მათ მოკვლითაც კი ემუქრებოდნენ.

**— თქვენ რა დაუპირისპირეთ ყველაფერ ამას?**

— ეროვნულ ჩემპიონატში სხვა კლუბები მივიწვიეთ, ფეხბურთელებს კი თავისუფალი ტრანსფერების უფლება მივეცით. ვნახოთ, რა მოხდება...

**— ქვეყნის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის პოზიცია როგორია ყველაფერ ამასთან დაკავშირებით?**

— რა მოქმედებაც არის, პოზიციაც იგივეა. პრეზიდენტი კი უარყოფს ამ ამბებთან რაიმე კავშირს, მაგრამ ყველა სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო ჩვენს წინააღმდეგაა. ამასაც გავუძლებთ. ფიფას კანონებით, წევრობისთვის არ არის აუცილებელი ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება — ლიხტენშტაინიც და სან მარინოც არ ატარებენ თავიანთ ჩემპიონატს.

**— მაინც ვინ არიან თქვენი ოპონენტები, ანუ სახელმწიფოს ფავორიტი აზერბაიჯანის ფეხბურთი ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე?**

— არ ვიცი, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. მათთვის მთავარია, მე მომიშორონ.

**— რისთვის? რატომ?**

— არავის არსად არ დავუბარებივარ და არც არავინ შემხვედრია დასალაპარაკებლად. უბრალოდ, ამბობენ, აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაცია ფიფას კანონებს არღვევსო, მაგრამ, თუ მართლა ასეა საქმე, მაშინ მხოლოდ ფიფა უნდა ჩაერიოს საქმეში.

**— ჩვენთან, ფაქტობრივად, ამას ედავებიან სფფ-ის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას — ფიფას კანონებს არ იცავსო და სასამართლოშიც უჩივლა მოწინააღმდეგე ბანკმა. თქვენ არ გედავებიან სამოქალაქო სასამართლოში?**

— ამის უფლება არა აქვთ. თუ რაიმე სადავოა, ეს ფიფას არბიტრაჟმა უნდა გაარკვიოს. ეროვნული ფედერაცია კი ქვეყნის და ფიფას კანონებით არსებობს. ეროვნული ფედერაცია რეგისტრაციაში იუსტიციის სამინისტრომ გაატარა, სამოქალაქო სასამართლოც იუსტიციის ორგანოა და რა გამოდის, იუსტიციის სამინისტრო საკუთარ თავს ებრძვის?!

ისე, ჩვენი იუსტიციის სამინისტრო კი გვებრძვის, მაგრამ არაფერი გამოუვათ.

**— საპრეზიდენტო არჩევნებში მერაბ ჟორდანიას ერთ-ერთმა მეტოქემ დავით პეტრიაშვილმა ბრძანა, რომ ფიფას წესდებით, მას სრული უფლება აქვს, ფედერაციას სამოქალაქო სასამართლოში უჩივლოს თუ სარჩელი სპორტულ და ფინანსურ საკითხებს არ ითვალისწინებს...**

— მზად ვარ, ახლავე იურისტებს ვუხმო და საპირისპირო დავამტკიცო. რას ნიშნავს ფინანსური, სპორტული თუ სხვა სახის სარჩელი? განა ეროვნული ფედერაცია თავიდან ბოლომდე სპორტულ საქმიანობას არ მისდევს?!

**— პეტრიაშვილი ყრილობაზე მანდატების განაწილების საკითხს გულისხმობს...**

— როგორც უნდა იყოს, ფედერაციის ოპონენტმა ფიფას უნდა მიმართოს და არა სამოქალაქო სასამართლოს.

**— ვინც თქვენ გებრძვით, იმათ რა კონკრეტული ინტერესები აქვთ ფეხბურთში?**

— დეტალურად არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, აზერბაიჯანულ ფეხბურთის გამოსწორება გვინდაო, მაგრამ ერთი კაპიკით არ დახმარებია სახელმწიფო ფეხბურთს, პირიქით, ხელს გვიშლიან — ასაკობრივი ნაკრებების ფეხბურთელებს ჯარში იწვევენ, აზერბაიჯანში აღზრდილ და უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელებს აზერბაიჯანულ პასპორტს არ აძლევენ, პიკეტებსა და მიტინგებს გვიწყობენ, არაცივილიზებული მეთოდებით გვებრძვიან...

**— თქვენი მორიგი ყრილობა და საპრეზიდენტო არჩევნები როდის ჩატარდება?**

— ხსენებული ვითარების გამო ყრილობა აგვისტოდან წლის ბოლოსთვის გადავიტანეთ. ამასობაში ჩვენთან ფიფას სპეციალური კომისია ჩამოვა და ამის დიდი იმედიც მაქვს.

**დავით თამართბილაძე**

# ვა, გოჩა!?

## გოგრიჭიანი ბავშვობას დაუბრუნდა

**რაც** აშვეთია და დემეტრაძე „ალანიაში" დაბრუნდნენ, რუსეთში ტური არ ჩაივლის, არ გამოირჩნენ. აი, გასულ ოთხშაბათსაც, ვლადიკავკაზში, ალანელებმა „ზენიტს" ქართველების წყალობით მოუგეს. განსაკუთრებით დემეტრაძე აქტიურობდა და რომ ვერ გაიტანა, ბედის ამბავი თუ იყო. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე თავისი საჯარიმოს კუთხესთან სტუმარმა მცველმა აშვეთია წააქცია და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც. დემეტრაძემ ჩააწოდა და აშვეთიამ თავურით შეაგდო. მეორე ნახევრის დასაწყისშივე მიხოს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ მცველებს გამკლავებულმა ბურთი მეკარე მალაფეევს მოარტყა. მერე მეკარესაც აჯობა, ბურთი თავზე გადაუგდო, დარტყმა კი ოდნავ უზუსტო გამოუვიდა. შუალედებში დემეტრაძეც აწუხებდა მოწინააღმდეგეს, ერთ ეპიზოდში მისი სახიფათო საჯარიმო მალაფეევმა მოიგერია, მაგრამ გამოვარდნილ ბურთზე დამმატებელი აღარავინ გამოჩნდა. „ალანია" ნელ-ნელა შორდება გასავარდნ ზონას და რახან ამაში ქართველი ახალწვეულების დიდი წვლილიცაა, სასიამოვნო ინფორმაციადაც უნდა მივიჩნიოთ.

რუსთა პირველ ლიგაში მეორე წრის დაწყებას კი ჩვენთვის რამდენიმე საინტერესო ამბავი მოჰყვა. სმოლენსკის „კრისტალსა" და ყაზანის „რუბინს" შორის „ქართულ დერბიში" ორი გოლით კვლავ გამოირჩა დავით ჩალაძე. დათომ ორი ბურთი გაიტანა და ჯამში 11 გოლით ისევ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. „სპორტ ექსპრესმა" ის წლეულს მეოთხედ შეიყვანა ტურის სიმბოლურ ნაკრებში და აღსანიშნავი ის არის, რომ ასეთი პატივი ჯერ არცერთ სხვა პირველლიგელს ღირსებია.

როსტოვში კი, ასკ — „ამკარის" მატჩში არმიელებში ორი ახალწვეული ქართველი გამოჩნდა, ყოფილი ლოკომოტიველი ლადო კაკაშვილი და... გოჩა გოგრიჭიანი, ვისაც 12 აგვისტოს 38 წელი შეუსრულდება. ჯერ კიდევ საბჭოეთის დროს გოჩა თბილისის „დინამოსა" და სსრკ-ის ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახლდათ. მერე იყო ლანჩხუთის „გურია", სოხუმის „ცხუმი", კვიპროსის „ომონია" და სოჭის „ჟემჩუჟინა". ქართველთა ეროვნულ გუნდშიც არა ერთხელ გამოუჩენია თავი. ბოლო ორ წელიწადს რუსეთის მეორე ლიგაში აგორებდა ბურთს, ერთი ხანი გვეგონა, კარიერაც დაასრულაო, მაგრამ აი, ისევ შეგვახსენა თავი. როსტოვში მისი გამოჩენა კი ალბათ იმასაც უნდა მივაწეროთ, რომ თავის დროზე ამ ქალაქის საფეხბურთო ინტერნატში სწავლობდა და საბჭოეთის ახალგაზრდულშიც იქიდან მიიწვიეს. როსტოვში არა ერთი კარგი ფეხბურთელი გაზრდილა, ვთქვათ, ბუბნოვი, ხიდიატულინი, ვორობიოვი, კოვტუნი, მაგრამ იქაურებს დღესაც მიაჩნიათ, რომ ცნობილ ინტერნატში გოჩაზე ნიჭიერ მოთამაშეს არ გაუვლია. მოკლედ, გოგრიჭიანი ისევ თამაშობს.

უკრაინაში ამჯერად ჩვენები ვერაფრით გამოირჩნენ. წინა ტურის გმირმა, არსენალელმა შალვა აფხაზავამ „კრივბასთან" ორი მომენტი გააცუდა, თუმცა მისმა გუნდმა მაინც გაიმარჯვა. ამას წინებზე შალვა უკრაინელ ჟურნალისტებსაც ესაუბრა და დასძინა, აქ ბევრი გოლების გასატანად ჩამოვედი და თუ ყველაფერი კარგად იქნა, ევებ საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმაც შემამჩნიონო. ირაკლი მოდებაძის „მეტალურგმა" კიევში „დინამოსთან" ვერაფერი გააწყო და ღღეისთვის ცხრილში ბოლო ადგილზეა, არადა, მალე უეფას თასზე მოუწევს გამოსვლა, ტრაპაიძე-გიგიაძე-ჩომახიძის „ტავრია" კი წინა ტურში „არსენალისგან" ნაგვემ დებიუტანტ „ვოლინთან" დამარცხდა.

ლატვიაში ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო — ლიდერებმა გაიმარჯვეს, აუტსაიდერებმა წააგეს. „სკონტომ" თანაქალაქელ „აუდას" 3:0 მოუგო, ხოლო პირველმა „ვენტსპილსმა" „დაუგავა" 5:0 გაანადგურა და ჩვენებურთა გუნდს კვლავ ხუთი ქულით უსწრებს.

თამაზ პერტიას „რიგა" კი ცხრილის ბოლოშია და უმაღლესში დარჩენა ძალიან გაუჭირდება. უახლოეს კონკურენტს ექვსი პუნქტით ჩამორჩება და არც სინათლე უჩანს გვირაბის ბოლოში. ამჯერად „რიგა" შინ „დინაბურგთან" დამარცხდა.

**სოლომონ ბულისკერია**



გოჩა გოგრიჭიანი

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | რიდი 2:0 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 4 |
| **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | შ | ქსამაქსი 2:0 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | შ | ზენიტი 1:0 | 90 | საგოლე პასი | 3 | 3 | 13 |
| გია იმედაძე | ალანია | შ | ზენიტი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 10 | 2 | 13 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | ზენიტი 1:0 | 90 | 1 გოლი | 4 | 4 | 13 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | ზილ 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ტორპედო 0:1 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| კახა მყავანაძე | ანჟი | ს | ლოკომოტივი 0:0 | 90 | | 14 | 1 | 12 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | როსტსელმაში 1:0 | 11 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 0 | 11 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | როსტსელმაში 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | რუბინი 0:3 | 90 | | 15 | 0 | 17 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | რუბინი 0:3 | 90 | | 17 | 1 | 17 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | რუბინი 0:3 | 90 | | 14 | 0 | 17 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | ს | კრისტალი 3:0 | 90 | გააფრთხილეს | 12 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | კრისტალი 3:0 | 0 | | 7 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | კრისტალი 3:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 2 გოლი | 15 | 11 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | შ | დინამო 3:0 | 90 | გააფრთხილეს | 15 | 2 | 10 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | ს | ჩერნომორეცი 2:2 | 0 | | 4 | 1 | 14 |
| ალექსანდრე გელაძე | ასკ როსტოვი | შ | ამკარი 0:4 | 0 | | 4 | 0 | 15 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ასკ როსტოვი | შ | ამკარი 0:4 | 90 | | 1 | 0 | 15 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ასკ როსტოვი | შ | ამკარი 0:4 | 90 | | 1 | 0 | 15 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | ს | ვოლინი 0:1 | 90 | | 4 | 0 | 15 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ვოლინი 0:1 | 82 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 4 | 1 | 15 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | ს | ვოლინი 0:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 1 | 15 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | ს | დინამო 2:5 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 16 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | ს | კრივბასი 1:0 | 90 | | 3 | 3 | 5 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | აუდა 3:0 | 0 | | 14 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | აუდა 3:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, გააფრთ. | 14 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | აუდა 3:0 | 45 | შეცვალეს | 16 | 3 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | დინაბურგი 1:2 | 0 | | 14 | 1 | 8 |

**შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში**

# კოკისპირულმა ტორპედოს კოკა აავსო

## ჩემპიონთა ლიგა

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**B36 ტორსჰავენი** (ფარერები) 0:1 ***ტორპედო (საქართველო)*** (2:5)
0:1 დ. ჯანაშია (76)

**ბარი თაუნი** (უელსი) 0:1 ***სკონტო (ლატვია)*** (0:5)
სკონტო: პავლოვსი, ისაკოვსი, ზემლინსკისი, სამუსევასი, დედურა, ბლაგონადეჟდინსი, მოროზი, მენთეშაშვილი (კორლაძე 46), ვერპაკოვსკისი (ქაანევიჩიუსი 57), კოლესნიჩენკო, მიხოლაპი (დელისევსი 68)
მწვრთნელი: ალექსანდრ სტარკოვი
გაფრთხილება: სამუსევასი, კოლესნიჩენკო, მენთეშაშვილი
მსაჯი: გილფი ტორ ორასონი (ისლანდია)
600 მაყურებელი

***პიუნიკი (სომხეთი)*** 2:0 **ტამპერე** (ფინეთი) (4:0)
1:0 დიავარა (53), 2:0 კისტერნა (89)

***დინამო (ალბანეთი)*** 0:0 **კაუნასი** (ლიტვა) (3:2)

**შელბურნი** (ირლანდია) 0:1 ***ჰიბერნიანსი (მალტა)*** (2:2)
0:1 შუკუნიერე (90)

**ქაირატი** (ყაზახეთი) 3:2 ***შერიფი (მოლდოვა)*** (1:2)
1:0 ტლეკოუგოვი (32), 2:0 ლოვჩევი (41), 3:0 კლიშინი (52), 3:1 ბორეტი (58), 3:2 ნესტერუკი (59)
შერიფი: ჰუტანი (ჩირილოვი 14), ოდია, თარხნიშვილი, ბოტისა, სიუბანკანი, პრიგანიუცი, ივანოვი, ბორეტი, ბარბუროსი (პატულა 46), ნესტერუკი, ბარხომენკო (კომლიონოკი 59)
მწვრთნელი: ბელე ბალინტი
გაფრთხილება: ბარხომენკო, ბარბუროსი, ტრაიანი, ივანოვი
მსაჯი: ჰერმან ალბრეხტი (გერმანია)
12 000 მაყურებელი

***ვარდარი (მაკედონია)*** 3:0 **დუდელანჟი** (ლუქსემბურგი) (1:1)
1:0, 2:0 სასაკოვსკი (72, 76), 3:0 პეტკოვი (85)

**აკრანესი** (ისლანდია) 0:1 ***ჟელეზნიჩარი (ბოსნია)*** (0:3)
0:1 გრედიჩი (33)

***აპოელი (კვიპროსი)*** 1:0 **ფლორა** (ესტონეთი) (0:0)
1:0 გეორგიუ (61)

***ბელშინა (ბელარუსი)*** 3:2 **პორტდაუნი** (ჩრდ. ირლანდია) (0:0)
1:0 სტრიპეიკისი (6), 2:0 კაროლიკი (22), 2:1 ჰამილტონი (39), 3:1 კაროლიკი (69), 3:2 არკინსი (74)

ქუთაისის „ტორპედომ" იოლად გაიარა ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი და ახლა ევროთასებზე გამოცდილ პრაღის „სპარტასთან" საბრძოლველად ემზადება.

ფარერული „B36 ტორსჰავენი" მართლაც არ იყო ის გუნდი, ქუთაისელთათვის სერიოზული წინააღმდეგობა რომ გაეწია. კუნძულელთა პოლონელი მწვრთნელი პიოტრ კრაკოვსკიც, მიუხედავად საპასუხო მატჩში ოდენ ფარერული წვიმა-გრიგალის იმედზეღა იყო.

გუშინწინდელ მატჩში წვიმა მართლაც იყო, თან კოკისპირული, თუმც გამოიყენეს თუ არა ეს ფარერელებმა, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. არადა, თავიდან უპირატესობას კუნძულელები დაეუფლნენ და არავინ იცის, რა მოხდებოდა მერე, 23-ე წუთზე მორტანსენს მუხლი რომ არ აეკანკალებოდა. საჯარიმოში შეჭრილ თავდამსხმელს ლაშა ჭელიძე ეუხეშა და ირლანდიელმა მსაჯმა პოლ მაკკეონმა მყისვე თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ გაიშვირა ხელი. ბურთთან მისულ მორტანსენს შეეძლო, ფარერული ფეხბურთის რამდენიმეწლიან ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაეწერა საკუთარი გვარ-სახელი, თუმც გია ჭანტურიამ ივაჟკაცა.

გაცუდებული პენალტის შემდეგ მასპინძლებმა უპირატესობა დათმეს და ქუთაისელებმა იძალეს. „ტორპედოს" შეტევების გაძღოლა მალხაზ ასათიანმა ითავა და რამდენიმე ხელსაყრელი მომენტიც შექმნა, თუმც მისი ძლიერი და სახიფათო დარტყმები რენე ტორგარდმა გააუვნებლა.

მეორე ნახევარში წვიმამ უფრო მეტი სიხშირით და სიძლიერით დაასველა ფარერები, თუმც წყალში თევზივით უკვე „ტორპედო" უფრო გრძნობდა თავს, ვიდრე პიოტრ კრაკოვსკის გუნდი.

ამან შედეგი 76-ე წუთზე გამოიღო, როცა ქართველთა სწრაფი შეტევა დავით ჯანაშიამ გოლით დააგვირგვინა. მერე გია ჭანტურიასაც მოუხდა რამდენიმე ბურთის მოგერიება, შეხვედრის მიწურულს კი მალხაზ ასათიანს ანგარიშის გაორება შეეძლო, თუმც რენე ტორგარდმა ურთულესი დარტყმული აულო.

ისე, საინტერესოა, რომ „ტორპედოს" გამარჯვებაში ლომის წილი დაიდეს მშობლიურ გუნდში ამ ზაფხულს ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა ფეხბურთელებმა — გია ჭანტურია და დავით ჯანაშია „ტორპედოს" „ბათუმიდან" შეუერთდნენ.

ახლა ორიოდ სიტყვა ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე სხვა „ქართულ" გუნდებზეც ვთქვათ. ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ყაზახურმა „ქაირატმა". უეფაში ახლახან გაწევრიანებული აზიური ქვეყნის ჩემპიონმა პირველად გაუსინჯა გამარჯვებას გემო ევროპულ სარბიელზე. თუმც მართლაც რომ ვაი, ასეთ მოგებას. 52-ე წუთზე აზიელები უკვე 3:0 უგებდნენ ვაჟა თარხნიშვილის „შერიფს", რაც შემდეგ ეტაპზე გასასვლელად სავსებით საკმარისი იყო. „ქაირატი" ტირასპოლშიც ამარცხებდა მასპინძლებს, თუმც მაშინ „შერიფმა" ვაჟა თარხნიშვილის პენალტით 2:1 მოუგო მეტოქეს. მართალია, მოლდოველებმა ამჯერად იგივეს გაკეთება ვერ შეძლეს, მაგრამ ორწუთიან მონაკვეთში ორი გადამწყვეტი გოლი გაიტანეს და აზიელები ავსტრიის მოსანახულებლად არ შეაწუხეს. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „შერიფს" სწორედ ავსტრიულ „გრაცერთან" მოუწევს ჭიდილი. ამგვარად, ტირასპოლელებმა თარხნიშვილის თამადობით კიდევ ერთ გამოცდას გაუძლეს. ასტანაში მატჩს 12 000 მაყურებელი დაესწრო და მოლდოველთათვის პირველი სამწუხარო ამბავი მე-14 წუთზე მოხდა, როცა რუმინელმა მეკარე სებასტიან ჰუტანმა მძიმე ტრავმა მიიღო. მის შემცვლელ ალექსანდრ ჩირილოვს ტლეკოუგოვ-ლოვჩევ-კლიშინის სამეულმა სამჯერ გამოატანინა ბურთი კარიდან, თუმც მერე ის „მოლდოვური ორი წუთი" იყო...

ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე მოიარა უელსი რიგის „სკონტომ". ზურაბ მენთეშაშვილმა და ლევან კორლაძემ „ბარი თაუნთან" თითო ტაიმი ურთმანეთოდ ითამაშეს, „სკონტომ" კი კოლესნიჩენკოს კინკილათი იძალა და ორი მატჩის ჯამში 6:0 გააცამტვერა მეტოქე. შემდეგ ეტაპზე ქართველთა „სკონტოს" ბულგარული „ლევსკი" ელის.

სენსაციური მარცხი იწვნია შინ ირლანდიურმა „შელბურნმა". ირლანდიელებმა სტუმრად ნათამაშევი 2:2 შინ 90-ე წუთზე გაშვებული საბედისწერო გოლით გაანიავეს და მალტურ „ჰიბერნიანსს" მწვანე შუქი აუნთეს.

სომხურმა „პიუნიკმა" საპასუხო მატჩშიც მშრალად სძლია ფინურ „ტამპერეს". სომხებმა ლეგიონერების — დიავარასა და კისტერნას გოლებით იმარჯვეს და ახლა კიევის „დინამოსთან" მოუწევთ საქმის დაჭერა.

ბელარუსულმა „ბელშინამ" კი გაჭირვებით გააღწია შემდეგ ეტაპზე. „თეთრ რუსებს" ჩრდილოირლანდიურმა „პორტდაუნმა" 74-ე წუთზე ანგარიში მინიმუმამდე შეუმცირა და გვარიანი შიშიც აჭამა, თუმც ბრიტანელებმა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს.

**ბაჩა ზალამბერიძე**



გრიგოლ ჭანტურიამ ფარერელებს პენალტიც არ გაატანინა



REUTERS

თომას ფრყინსკის (ბურთით) „დუდელანჟი" მაკედონიელებმა მატჩის ბოლოს გატეხეს

| მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. 31 ივლისი, 7 აგვისტო |
|---|
| სპარტა (ჩეხეთი) — ტორპედო (საქართველო) |
| დინამო (უკრაინა) — პიუნიკი (სომხეთი) |
| ბრიუგე (ბელგია) — დინამო (რუმინეთი) |
| ბოავიშტა (პორტუგალია) — ჰიბერნიანსი (მალტა) |
| შერიფი (მოლდოვა) — გრაცერი (ავსტრია) |
| ბრონდბიუ (დანია) — დინამო (ალბანეთი) |
| მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — ბელშინა (ბელარუსი) |
| ვარდარი (მაკედონია) — ლეგია (პოლონეთი) |
| ლილესტრიომი (ნორვეგია) — ჟელეზნიჩარი (ბოსნია) |
| ზალაეგერსეგი (უნგრეთი) — ზაგრები (ხორვატია) |
| მარიბორი (სლოვენია) — აპოელი (კვიპროსი) |
| სკონტო (ლატვია) — ლევსკი (ბულგარეთი) |
| ჰამარბი (შვედეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) |
| ჟილინა (სლოვაკეთი) — ბაზელი (შვეიცარია) |

# ქუთაისელებს პობორსკიმ გოლი დაახვედრა

**ფარერულ** ტორსჰავენში ქუთაისის „ტორპედომ" ოფიციალურად გაიფორმა ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში. იქ საქართველოს სამგზის ჩემპიონს გაცილებით სერიოზული მეტოქე ჩემპიონთა ლიგის ლამის მუდმივი მონაწილე პრაღის „სპარტა" ელის.

„სპარტას" სიძლიერეში ეჭვი, ალბათ, ბევრს არ ეპარება, თუმც ფავორიტებსა და შანსებზე ლაპარაკი რასაც ნიშნავს, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატმაც კარგად აჩვენა. ჩვენც სასიამოვნო სენსაციის მოლოდინში ვართ, თუმც სჯობს ყველაფერს საღი თვალით შევხედოთ და შევაფასოთ.

რა შანსი აქვს ქუთაისის „ტორპედოს" ჩეხებთან? ამაზე პასუხს, ალბათ, რიონისპირელთა თავკაცობა უფრო კარგად გაგვცემს, მაგრამ თავად გულშემატკივარი პასუხს ჯერ 31 ივლისს, მერე კი 7 აგვისტოს მიიღებს.

„სპარტას" მზვერავებმა უკვე არაერთხელ „შეაწუხეს" ქუთათურები და, შეიძლება ითქვას, ჩეხები ალექსანდრ შტეინის ხელწერას ასე თუ ისე იცნობენ. ჩვენ კი თავად პრაღელებზე ვთქვათ:

გუშინწინ ჩეხეთში ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო და „სპარტამ" პირველივე ტურში სამი ქულა მიითვალა. ქვეყნის ჩემპიონთა გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა იტალიური „ლაციოდან" დაბრუნებულმა კარელ პობორსკიმ. „ტეპლიცემ" დიდი წინააღმდეგობა კი გაუწია სახელოვან მეტოქეს, თუმც 56-ე წუთზე პობორსკიმ ერთადერთი გადამწყვეტი გოლის გატანა შეძლო. „სპარტამ" ამ მატჩში უძლიერესი შემადგენლობით ითამაშა. გამონაკლისი მხოლოდ 33 წლის მეკარე პეტერ კოუბა იყო, რომელიც მწვრთნელებმა სათადარიგოთა სკამზე დასვეს.

კარელ პობორსკიმ კი 8,4 შეფასება დაიმსახურა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს. გამოირჩეოდა აგრეთვე ცენტრალური მცველი ჰუბშმანი, რომელიც ჩეხეთის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერია.

„სპარტამ" „ტეპლიცესთან" ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

***შპიტა, გრიგერა, ჰუბშმანი, ნოვოტნი, მარეში, პობორსკი, იაროშიკი, ზელენკა (ზავადილი 86), სიონკო, ბარანეკი (ბაბნიჩი 73), პოსპიშილი (იანი 46).***

**ბაჩა ზალამბერიძე**





კარელ პობორსკი


## ინდსაწარმო «არეალი»

თანამედროვე დიზაინით და ტექნოლოგიებით
ამზადებს ნებისმიერი სახის
საოფისე ავეჯს
სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს





მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის 97 (გეოლოგების გარაჟი)
ტელეფონები: 39 00 98 ან 8 99 54 07 01

ხელმისაწვდომი ფასები
გადახდის ნებისმიერი ფორმით





## იყიდება უნიკალური წიგნები

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა" (1885) და „მზა-მეტყველება" (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული" (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

ეროვნული ბიბლიოთეკა



რივალდომ მსოფლიოს თასით დაიტრაბახა

# როგორ მოგვწონდა ჩვენ ერთმანეთი

## გაბრენძილი რივალდო, ხელმოცარული ვან გაალი და მეოცნებე ფუტრე

რივალდოს „ბარსელონადან" გაშვება, მაინც ლუის ვან გაალს უკავშირდება. მოგეხსენებათ, ჰოლანდიელი მწვრთნელი ამ ზაფხულს კატალონიურ კლუბში დაბრუნდა და მიუხედავად ორმხრივი, ერთობ შემწყნარებლური განცხადებებისა, მისი გამოჩენიდან ცოტა ხანში „ბარსას" ადმინისტრაციამ მსოფლიოს ჩემპიონი დაითხოვა. კლუბის ამ ნაბიჯს ხან ფინანსურ კრიზისს უკავშირებდნენ, ხან ვან გაალს, ერთ-ერთ ოფიციალურ განცხადებაში რივალდოს გაშვების მიზეზად ტექნიკური საკითხიც სახელდებოდა, რაც არავინ იცის, რას ნიშნავს. ერთი სიტყვით, ბევრი ითქვა, მაგრამ, ვფიქრობთ, ვან გაალის ბოლო შეფასებები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. საქმე ის არის, რომ ჰოლანდიელის განცხადებით, რივალდო საქმისადმი თავდადებით არ გამოირჩევა.

**მწვრთნელის** ასეთმა ნათქვამმა ბრაზილიელს შეპასუხების სურვილი გაუჩინა. მან თავის ვებ-გვერდზე განიხილა საკითხი და დაასკვნა, რომ ვან გაალი მისმა მსოფლიოს ჩემპიონობამ გაალიზიანა:

„მას შურს, მე ჩემპიონი რომ გავხდი, თვითონ კი ჰოლანდიის ნაკრებს შესარჩევი ეტაპიც ვერ გადაალახინა. ვწუხვარ, ასე რომ შეემთხვა, მაგრამ ყველაფერი გასაგებია. ჰოლანდიაში ხომ უამრავი ვარსკვლავი თამაშობს, მათი ფინალურ ეტაპზე ვერგაყვანას მოხერხება უნდოდა."

აი, ასეთია რივალდოს პასუხი ვან გაალის ქარაგმულ განცხადებაზე, თითქოს მას ბრაზილიელთან პირადი მტრობა არ აკავშირებს და თუ რივალდო მონდომებით თამაშს ისურვებს, მის გუნდში ყოფნას მიესალმება კიდეც.

„მე მომწონს რივალდო, ოღონდ მაშინ, როდესაც მონდომებულია, მაგრამ რა დავარქვა მის თხოვნას, დამატებითი ორკვირიანი შვებულების შესახებ? ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ეტაპი კარსაა მომდგარი, ის კი ვარჯიშს არ აპირებს. ჩემი აზრით, ეს პირდაპირი მანიშნებელია იმისა, რომ მას „ბარსელონასადმი" საჭირო ერთგულების გრძნობა არ აქვს. ცხადია, მსოფლიოს ჩემპიონობა დიდებულია, მაგრამ რივალდოს არ უნდა დაევიწყებინა, რომ ხელფასს წლების მანძილზე კლუბი უხდიდა და პირველ ადგილზე სწორედ კლუბი უნდა დაეყენებინა. დააკვირდით: როდესაც ის ბრაზილიის ნაკრებში თამაშობს, ენთუზიაზმით არის სავსე, ხოლო „ბარსელონაში" ყველაფერი სხვანაირადაა."

სხვათა შორის, ბრაზილიელი ქომაგები რივალდოს ერთ ხანს აბრალებდნენ, ნაკრებში ისე გულიანად არ ირჯება, როგორც კლუბშიო.

რატომ არის ყველაფერი სხვანაირად? რამ გამოიწვია რივალდოს ასეთი მომხმარებლური დამოკიდებულება კლუბისადმი? ვან გაალი, რომელიც კატალონიაში 1997-2000 წლებშიც მუშაობდა, ყველაფრის მომსწრე და მოწმეა და ამ საკითხზე თავისი მკაფიო მოსაზრებაც აქვს:

„რივალდო ძალიან მომწონდა, სანამ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელებდნენ (1999), მას მერე კი კარგად აღარ უთამაშია. ის რივალდო საუკეთესო იყო, დღევანდელი კი ვერც ცხოვრებისეულ სიტუაციებში იქცევა სწორად და ვერც მოედანზე."

ზემოთ მოგახსენეთ, რომ რივალდომ ვან გაალის ასეთ განცხადებებს ფსიქოლოგიური ახსნა მოუძებნა. მისი აზრით, ბოლო დროს ხელმოცარული მწვრთნელი გალიზიანებულია და მიზეზს სხვაგან ეძებს.

„მეც სიამოვნებით ვიმუშავებდი ძველ ვან გაალთან. ვინ იყო მაშინდელი ვან გაალი? ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებული „აიაქსის" მწვრთნელი, კაცი, რომელმაც უამრავი ტიტული მოიგო და არა ის, ვინც ჰოლანდია შესარჩევ ეტაპსაც კი ვერ გააცილა."

კეთილი, მაგრამ სად მიდის „ბარსელონასგან" დაწუნებული მსოფლიოს ჩემპიონი? ამბობენ „მილანშიო".

„ამწუთას მე შვებულებაში ვარ და პრესკონფერენციას ვერ მოვიწვევ, მაგრამ ცოტა ხანში საჯაროდ გამოჩენას და ყველაფრის თქმას გპირდებით" — ამბობს რივალდო.

მაგრამ, სანამ რივალდო ამას ამბობს, ესპანურ პრიმერადივიზიონში აღზევებული და ასაკოვანი ვარსკვლავების ყიდვით გართული მადრიდის „ატლეტიკო" იმედოვნებს, რომ ბრაზილიელს იტალიელ „შავწითლებთან" მოლაპარაკება ჩაეფუშება და მათკენ გაიხედავს. მოვუსმინოთ „ატლეტიკოს" დირექტორს, წარსულში ცნობილ პორტუგალიელ ფეხბურთელ პაულუ ფუტრეს:

„არის მომენტები, როდესაც მთავარი ფული არ არის. მე რივალდოს ვექილს ველაპარაკე და ახლა პასუხს ველი. ჩვენ, ცხადია, „მილანს" სიმდიდრით ვერ გავეჯიბრებით, მაგრამ რივალდოს საკმაოდ მომგებიან წინადადებას ვთავაზობთ. ერთი სიტყვით, სანამ არ შევიტყობ, რომ „მილანთან" კონტრაქტი გააფორმა, მანამდე მის მადრიდში ჩამოყვანაზე ვიოცნებებ."

**ბაჩუნა ძიძია**





ლუის ვან გაალის დაწუნებული პაულუ ფუტრემ ინდომა



მარკ ვიდუკამ ფერდინანდობაზე დაიჩივლა

REUTERS

# სანამ ვენეიბლზი ბიზნესს ჩალიჩობდა

**„ლიდს იუნაიტედი"** ახალი მწვრთნელის ტერი ვენეიბლზის ხელმძღვანელობით ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნებისთვის აგრესიულად იბრძოლებს — განაცხადა ვენეიბლზის თანაშემწე ბრაიან კიდმა.

მოგეხსენებათ, ახლახან „ლიდსმა" „მანჩესტერ იუნაიტედს" მცველი, ინგლისის ნაკრების წევრი რიო ფერდინანდი მიჰყიდა. ეს, ცხადია, დანაკლისია, მაგრამ კიდის დაბეჯითებული თქმით, ვენეიბლზი, ყველაფრის მიუხედავად, გუნდში ახალი ფილოსოფიის დანერგვას მოახერხებს. ტერი ვენეიბლზი ის მწვრთნელია, რომელიც თავის დროზე ინგლისის ნაკრებსაც ედგა სათავეში და ავსტრალიისასაც.

სხვათა შორის, კიდმა აღნიშნული განცხადება სწორედ მელბურნში გააკეთა, სადაც „ლიდსმა" ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა იქაურ „გრინ თაუნთან" და 5:1 მოიგო. ამ მატჩში „ლიდსს" კიდი ხელმძღვანელობდა, ვენეიბლზი კი ბიზნესის საქმეზე სადღაც ყოფილა წასული, თუმცა შაბათს, ჩილეს „კოლო კოლოსთან" გუნდს ის დამოძღვრავს — პირველად ცხოვრებაში.

„ჩვენ ისეთი ფეხბურთელები გვყავს, რომ არ მესმის, რატომ არ უნდა მოვხვდეთ ჩემპიონთა ლიგაში" — განაგრძო კიდმა, რომელიც წინა სეზონშიც ამ თანამდებობაზე იყო, ოღონდ მაშინ დევიდ ოლირის ასისტენტი ერქვა — ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა სრულიად რეალურად მეჩვენება, თანაც ვენეიბლზი ხომ უდიდესი რეპუტაციის ადამიანია."

კიდის თქმით, ვენეიბლზს „ლიდსში" მთელი სისტემის შეცვლა განუზრახავს და თან ამის არ ეშინია.

„როდესაც გუნდში ახალი მწვრთნელი მოდის, ბუნებრივია, რომ ფეხბურთელები სიახლის მოსასმენად ემზადებიან. ბოლოს და ბოლოს, დროის გამოცდა მოთამაშეებმაც ხომ უნდა ჩააბარონ."

ამასობაში კი ლიდსელთა თავდამსხმელი მარკ ვიდუკა ამბობს, რიო ფერდინანდის „მანჩესტერში" გაყიდვა გუნდისთვის სერიოზული დარტყმა იყო.

„რიო ჩვენი საკვანძო ფეხბურთელი გახლდათ. დაცვის სიძლიერე მასზე იყო დამოკიდებული. ის მსოფლიო კლასის მოთამაშეა და ეს იმ თანხითაც დასტურდება, „მანჩესტერმა" მასში რომ გადაიხადა. კიდევ კარგი, ჩვენ კიდევ დაგვრჩა ძლიერი მცველები, ჯონათან ვუდგეიტი, დომინიკ მატეო და მაიკლ დაბერი. იმედი მაქვს, რომ რიოს გარეშე ვითარებაში გარკვევას მოვახერხებთ."

დავძინოთ, რომ „ლიდსი" „ლივერპულისთვის" ლი ბოიერის მიყიდვას ლამობდა, მაგრამ გარიგება ჩაიშალა და ფეხბურთელი ვარჯიშს ძველ კლუბში განაგრძობს.

**ბაჩუნა ძიძია**

# დაპირდი და შეუმცირე

**კირხის** მედიაიმპერიის დაქცევამ რომ გერმანულ კლუბებს გვარიანი ლუკმა გამოაცალა პირიდან, ძველი ამბავია. თუმცა ამჯერად მეორებუნდესლიგელ „კარლსრუეს", „ალემანიასა" თუ „ფიურტს" ბოლოლა „დორტმუნდიც" ამოუდგა გვერდში. ყოველ შემთხვევაში, გერმანული მედიის ინფორმაციით, კლუბის პრეზიდენტი გერტ ნეუბაუმი შვეიცარიაში დაბანაკებულ ბუნდესჩემპიონებთან ჩასულა და მოლაპარაკებაც დაუწყია.

კლუბი დუმს, თუმც გავრცელდა ხმები, საქმე სახელფასო ფონდის შემცირებას ეხებაო. როგორც გერმანელი ჟურნალისტები ამბობენ, „დორტმუნდის" უფროსობა ფონდის 50 მილიონი ევროთი შეკრეჭას აპირებს. არადა, ბოლო ერთი წლის მანძილზე კლუბში გადასული სებასტიან კელის, ფრიკსის, ევერტონისა და არგენტინელი ხუან ფერნანდესის „ვესტფალენშტადიონზე" გადაბირების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მსუყე ხელფასები იყო.

დორტმუნდელთაგან ამის თაობაზე ჯერჯერობით მხოლოდ გუნდის კაპიტანმა, როიტერმა დაძრა სიტყვა: „კირხის გაკოტრებამ პრობლემები შექმნა. ცხადია, როცა შესაძლებლობა არ არის, ხელფასებიც უნდა შემცირდეს. კლუბის ინტერესებიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ." თუმც როიტერის თქმით, ხელფასების შემცირება პრემიალურებზე არ უნდა გავრცელდეს. გერმანული პრესა იუწყება, რომ „ბორუსიას" ბოსების მსგავსად, ამ ნაბიჯის გადადგმას კიდევ რამდენიმე ბუნდესლიგური კლუბის თავკაცობა გეგმავს.

**სერგი ძორიძე**

## ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი
ნორვეგია. 21-28 ივლისი




გერმანელებმა კი გაიხარეს, მაგრამ ინგლისელთა თავკაც მარტინ ჰანტერს საფიქრელი მოემატა

# ინგლისი გერმანიაზე ჰკიდია

B ჯგუფი. II ტური

**ინგლისი 1:1 ბელგია**

1:0 ეშტონი (52), 1:1 იანსენსი (60)

**ბელგიასთან** ქულის გაყოფის შემდეგ ინგლისის ნაკრების საფინალო პერსპექტივა მეტისმეტად გაბუნდოვანდა. ორი ქულით მესამე ადგილზე მყოფ ინგლისს ბოლო ტურში ირლანდიის უცილობლად დამარცხება სჭირდება, თუმცა შესაძლოა, ესეც არ ეყოს. საქმე ის გახლავთ, რომ ნახევარფინალები არ ტარდება და ფინალში ჯგუფების გამარჯვებულები გადიან. ასე რომ, ინგლისელთა ფინალში გასასვლელად, გერმანია უნდა დამარცხდეს. თუმცა საქმე მარტო სატურნირო მდგომარეობაში როდია. ინგლისელები ულიმღამოდ თამაშობენ და ისევე როგორც გერმანიასთან, ვერც ბელგიელებთან მოახერხეს ანგარიშის შენარჩუნება.

პირველი მატჩის შემადგენლობიდან მწვრთნელმა მარტინ ჰანტერმა დინ ეშტონი, ჯერომ ტომასი და ჯონ ველში შეცვალა, თუმცა არც მათ ნაცვლად მოთამაშე კარლტონ კოულს, მაიკლ ჩოპრასა და ბენ ბუვდიჩს მოუწყვეტიათ ციდან ვარსკვლავები.

პირველმა ტაიმმა საკმაოდ მოსაწყენი ბურთაობის ფონზე ჩაიარა. ერთადერთი საგოლე მომენტი ინგლისს ჰქონდა, თუმცა ჩოპრამ ერთი მეტრიდან აცილება მოახერხა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ბელგიელებს ტურნირზე მათი ერთადერთი გოლის ავტორი ჯონათან ბლონდელი დაემტერათ. მარკ ვან გიირსომმა მის ნაცვლად გრეგორი სკატონე შეიყვანა.

მერე კი ინგლისი წინ გავიდა. ეშტონს ბელგიელთა მეკარე ვერბისტმა კი აულო, მაგრამ დამატებაზე იმავ ეშტონმა ივარგა და ტურნირზე თავისი მეორე გოლი მიითვალა.

ინგლისელთა სიხარულმა ზუსტად 8 წუთს გასტანა. მოედანზე ერთი წუთის შესულმა იანსენსმა გრძელი პასი დაიმორჩილა და ინგლისს ყველაფერი თავიდან დააწყებინა. დარჩენილ დროში ინგლისი უტევდა, ბელგია კი ქულას დარაჯობდა, რაც საბოლოო ჯამში გამოუვიდა კიდეც. ამაში მარკ ვან გიირსომის შეგირდებს იღბალიც წაეხმარა. ბრიტანელებმა ორჯერ მოარტყეს ბურთი ძელს.

„მთავარია, შემდეგ შეხვედრაში კარგად ვითამაშოთ — თქვა ნამატჩევს მარტინ ჰანტერმა — შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ, არაერთი გოლის გატანაც შეგვეძლო, თუმც ისე გამოვიდა, რომ ანგარიში კვლავ ვერ შევინარჩუნეთ."

გაცილებით კარგ გუნებაზე იყო ბელგიელთა მწვრთნელი: „ბლონდელის ტრავმამ ჩვენი შემტევი პოტენციალი შეასუსტა, ის ჩვენი პლეიმეიკერი და გუნდისთვის მეტად საჭირო მოთამაშეა ცხადია, ისედაც რთულ მატჩში კიდევ უფრო გაგვიჭირდა, განსაკუთრებით მეტოქის ფლანგურ იერიშებს ვუფრთხოდით, საბოლოოდ კი ყველაფერი მაინც ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდა. ამ შედეგს ნამდვილად ვიმსახურებდით."

**გერმანია 3:0 ირლანდია**

1:0 რეიზერი (22), 2:0 ტროჩოვსკი (59), 3:0 ჰანკე (81)

**ამ გამარჯვებით** გერმანიის ნაკრებმა ლონიერი ნაბიჯი გადადგა ფინალისკენ, თუმცა ჰოპლას დასაძახებლად 4 ქულით პირველ ადგილზე მყოფ ჭაბუკებს ჯგუფის ბოლო მატჩში ბელგიელებთან მაინც გამარჯვება სჭირდებათ.

შტილიკეს დამოძღვრილებს ირლანდიასთან დიდი პრობლემები არ შექმნიათ. ინგლისთან თამაშით უკმაყოფილო მწვრთნელმა დაპირებისამებრ სასტარტო შემადგენლობაში ბლომად ცვლილებები განახორციელა. მორის ვოლცის, იანის კრონის, პიოტრ ტროჩოვსკის, მათიას ლემანის, სებასტიან კნაისელისა და მიკ ჰანკეს ნაცვლად თამაში ფილიპ ლამმა, საშა რეიზერმა, დავიდ ოდონკორმა, მარსელ შიედმა, სოფიან ჩაჰედმა და ემანუელ კრონტირისმა დაიწყეს.

შედარებით ნაკლები, სამი ცვლილება მოახდინა პირველი მატჩის შემადგენლობაში ბრაიან კერმა. მაიკლ ფოლიშერიდანის, ადრიან დინისა და ლაიმ კელის მაგივრად სასტარტოში სტეფან კელიმ, კეიტ გილროიმ და სტივენ ელიოტმა ითამაშეს.

მატჩი დაიწყო და ირლანდიელებმაც პირველი სახიფათო მომენტი შექმნეს — გერმანელთა მეკარე ჰაასმა ფლანგიდან ჩაწოდებულზე სტივენ ბრენანს დაასწრო.

ამ ჩხვლეტის შემდეგ უპირატესობა უფრო მაღალი კლასის გერმანიისკენ გადავიდა და უკვე ირლანდიელთა მეკარეს უწევდა ნერვიულობა. ბრაიან მერფიმ ჯერ კრონტირისსა და ოდონკორს აუღო, მე-20 წუთზე ირლანდიელთა კარის დარაჯმა კვლავ ოდონკორს არ გაატანინა, თუმცა ოდონკორმა ორ წუთში თავისი მაინც გაახერხა. დორტმუნდელის ჩაწოდებულს რეიზერი დაუხვდა და გერმანია წინ გაიყვანა. ირლანდიამ მაშინვე გათანაბრება მოინდომა და მიზანთან ახლოსაც იყო — ჯერ სტივენ პეისლი დაუსხლტა გერმანიის დაცვას და თავით დაარტყა, შემდეგ კი საჯარიმოს შიგნიდან ელიოტმა აცილა.

პირველი ტაიმის მიწურულით უკმაყოფილო შტილიკემ მეორეში კრონტირისისა და მასმანიდისის ნაცვლად ვოლცი და ტროჩოვსკი შეუშვა და გერმანიამაც ისევ შეუტია. 59-ეზე სწორედ ახალშესულმა ტროჩოვსკიმ შეუქმნა შტილიკეს ბიჭებს ორბურთიანი უპირატესობა.

აღსანიშნავია, რომ ირლანდიელების საბრძოლო განწყობა ვერც მეორე გოლმა შეცვალა, სამოცდე წუთში გილროის რომ ბურთი პირდაპირ ჰაასისთვის არ გაერტყა, იქნებ გერმანელებს პრობლემებიც შექმნოდათ, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა.

ზემოხსენებული გილროის დარტყმის შემდეგ ირლანდიამ რეალური ვეღარაფერი შექმნა, გერმანიამ კი საფინალო სასტვენამდე 9 წუთით ადრე, ჰანკეს გარჯით, ანგარიში სამამდე გაზარდა.

ული შტილიკე: „შედეგი ჩვენს კარგ თამაშს ასახავს. რაც მთავარია, შეკრულად და უშეცდომოდ ვითამაშეთ."

ბრაიან კერი: „დღეს კარგად ვერ გამოვიყურებოდით. არადა, მე-2 წუთზე ბრენანს რომ გაეტანა, სულ სხვა თამაში წავიდოდა. გერმანიის დონის გუნდთან ნებისმიერ მომენტს დიდი ფასი აქვს. უნდა აღვნიშნო, რომ მეტოქემ სისწრაფეშიც და ფსიქოლოგიურ მომზადებაშიც აშკარად გვაჯობა."

**სერგი ძორიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| ინგლისი | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 2 |
| ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

# შენ დაუკარ!
## ბრაზილიის ჩემპიონატს სასამართლო ატარებს

**წარმოიდგინეთ**, ერთ-ერთი ევროპული ბობოლა ჩემპიონატის ქვედადივიზიონელი ჩემპიონი რომ გახდეს და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გააღწიოს... განა ამის თუნდაც იოტისოდენა შანსი არსებობს? აი, ბრაზილიელებმა კი ეს შეძლეს. თავიდან მოვყვეთ.

ბრაზილიურ ფეხბურთში გვარიანი ქაოსი სუფევს და იქაურმა ფეხბურთის მამებმა შეჩვეულ ჭირს რომ ვერ უწამლეს და ვერა და ვერ მოაბეს თავი ჩემპიონატის ჩატარებას, შარშან პირველობა პლეიოფური სისტემით ჩაატარეს. სწორედ ქვედადივიზიონურმა „სან კაეტანომ" შეძლო ვიცე-ჩემპიონის გვირგვინის დადგმა და ლიბერტადორესის თასის ფინალსაც უწია, სადაც მისი მეტოქე არცთუ ისე ძლიერი პარაგვაული „ოლიმპია" .

წლეულს ფედერაციამ, როგორც იქნა, გადაწყვიტა, ნორმალური სისტემით ჩაეტარებინა ჩემპიონატი, მაგრამ ისევ ჭირს გადააწყდა. წესით და რიგით, გავარდნილი „კაქსია", რომელმაც გადამოსასვლელი შეხვედრა „ფიგერესთან" 0:1 წააგო, მაინც დაუშვეს პირველ დივიზიონში სათამაშოდ. საქმე ისაა, რომ მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე „ფიგერესის" ქომაგობა გამარჯვების აღსანიშნავად მოედანზე შეცვივდა, „კაქსიამ" კი, ამ ერთ წუთში იქნებ გოლს ვიტანდით და ხელი შეგვიშალესო, სასამართლოში იჩივლა და პროცესიც მოიგო. რა თქმა უნდა, „ფიგერესმა" ეს გადაწყვეტილება არ მოიწონა და ჩემპიონატის დაწყებამდე ოცი დღით ადრე სასამართლოში სარჩელი შეიტანა, უსამართლოდ დაგვსაჯეთო. დავძინოთ, რომ ფედერაცია უსიტყვოდ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას, ანუ „კაქსიას" მხარეს იჭერს. ხოლო რასაც ახლა წაიკითხავთ, ყოველგვარი ფანტასტიკის ზღვარს სცილდება.

ჩრდილოაღმოსავლურ მეორედივიზიონურ „სანტა კრუზს" ელიტარული კლუბების გვერდით თამაში სურს და სასამართლოშიც შეიტანა განცხადება. კლუბი მოითხოვს, ჩემპიონატში დაშვებულ 26 გუნდს ერთიც წაამატონ. ისე, კაცმა რომ თქვას, რაა გასაკვირი — წინა ჩემპიონატში, რომელიც ორი წლის წინ ჩატარდა, ოცდაექვს გუნდს უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ „ბაიამ" და „ფლუმინენსემ", „სანტა კრუზის" დარად, მოსთხოვეს ფედერაციას, სასამართლოს ძალით დაეშვათ პირველობაზე. ალბათ, ამით გაგულისებულ „სანტა კრუზსაც" იგივეს იმედი აქვს. ჭირშეყრილი გაპენტაკამპეონებული ქვეყნის ფედერაცია კი სასამართლოებში მორბენალი გუნდების ჭკუაზე დადის, რომლებიც თავიანთ დაკრულზე აცეკვებენ ბრაზილიური ფეხბურთის მამებს.

**ზურაბ რუხაძე**

# ტოპმიოლერი ძველებს ენდობა

### გერმანია

ლიგის თასი

**ლევერკუზენი 1:0 ვერდერი**

1:0 სებესკენი (63)

ლევერკუზენი: იურიჩი, კლაინი, ლუსიო, სებესკენი, პლასენტე, ბალიტში, ფრანცისი, ბიროფკა (მონდესი 72), შნაიდერი, ბრდარიჩი (ფრანცა, 57), ბერბატოვი (ქაკა, 88)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

ვერდერი: ბორელი, ბაუმანი, ვერლაატი (დაუნი, 86), კრისტაჯიჩი, სტალტერი, ჟოკუზუ, ერნსტი, მაგნინი, ლისცუსი (ბანოვიჩი, 66), ჩარისტეასი, აილტონი

მწვრთნელი:

7250 მაყურებელი

**ოთხშაბათს** ლუბეკის ცენტრალურ სტადიონზე „ლევერკუზენმა" „ვერდერი" დაამარცხა სებესკენის ერთადერთი გოლით და გერმანიის ლიგის თასის ნახევარფინალში გავიდა.

ამ მატჩში, ლევერკუზენელთა მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი ძველ ფეხბურთელებს ენდო და ახალწვეულები — ბრაზილიელი ლუსიო, ფრანცა და ჩეხი ფორვარდი იან შიმაკი შეცვლაზე ათამაშა.

ცნობისთვის, გერმანიის ლიგის თასის გათამაშებაში ქვეყნის ექვსი საუკეთესო გუნდი მონაწილეობს, სადაც ჩემპიონი და ბუნდესთასის მფლობელი ასპარეზობას ნახევარფინალიდან იწყებენ.

28 მაისს ნახევარფინალურ მატჩში „ლევერკუზენი" ბუნდესთასის მფლობელ „შალკე 04"-ს დაუპირისპირდება და 11 მაისს გერმანიის თასის ფინალში განცდილი მარცხისთვის რევანშის აღებას შეეცდება. თუმც ლევერკუზენელებს ეს რომ გაუჭირდებათ, იქიდანაც ჩანს, რომ კლუბი რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე დარჩა. მიხაელ ბალაკისა და ზე რობერტოს წასვლასთან ერთად, გუნდს კაპიტანი იენს ნოვოტნი 2003 წლამდე გამოაკლდა.

ფეხბურთელმა ორშაბათს მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ახლა მკურნალობის კურსს გადის. შეგახსენებთ, რომ ნოვოტნიმ იგივე ოპერაცია მაისშიც გაიკეთა, რის გამოც მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვა.

გერმანიის ლიგის თასის ფინალი კი 1 აგვისტოს გაიმართება და გამარჯვებული გუნდი თასთან ერთად 1,27 მილიონი ევროთი დაჯილდოვდება.

**ლუკა გეგეჭკორი**



იენს ნოვოტნის ძველი ტრავმა გაისამდე გაყვება

### ფინეთი

26-ე ტური: ლაჰტი — ჰაკა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 16 | 9 | 3 | 4 | 25:16 | 30 |
| მიუპა | 16 | 8 | 5 | 3 | 30:14 | 29 |
| ინტერი | 16 | 8 | 4 | 4 | 27:13 | 28 |
| ჰაკა | 15 | 8 | 3 | 4 | 21:13 | 27 |
| ალიანსი | 16 | 7 | 4 | 5 | 20:24 | 25 |
| ტამპერე | 16 | 5 | 9 | 2 | 16:11 | 24 |
| ლაჰტი | 16 | 6 | 4 | 6 | 15:19 | 22 |
| იარო | 16 | 5 | 5 | 6 | 15:20 | 20 |
| კუოპიო | 15 | 4 | 4 | 7 | 23:24 | 16 |
| ჯაზი | 16 | 4 | 2 | 10 | 14:31 | 14 |
| ჰამენლინა | 16 | 2 | 7 | 7 | 16:23 | 13 |
| ვაასა | 16 | 2 | 4 | 10 | 13:27 | 10 |

### შვედეთი

არ-11 ტური: იურგორდენი — ჰელსინგბორგი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იორგრიტე | 11 | 6 | 4 | 1 | 20:15 | 22 |
| მალმიო | 11 | 7 | 0 | 4 | 24:13 | 21 |
| ლანდსკრონა | 11 | 5 | 4 | 2 | 25:16 | 19 |
| ჰელსინგბორგი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:16 | 17 |
| იურგორდენი | 11 | 4 | 4 | 3 | 18:15 | 16 |
| გიოტებორგი | 11 | 5 | 1 | 5 | 12:14 | 16 |
| იორებრო | 11 | 4 | 4 | 3 | 12:15 | 16 |
| სუნდსვალი | 11 | 3 | 5 | 3 | 10:9 | 14 |
| კალმარი | 11 | 3 | 4 | 4 | 7:11 | 13 |
| აიკ | 11 | 2 | 5 | 4 | 16:20 | 11 |
| ელფსბორგი | 11 | 2 | 5 | 4 | 10:14 | 11 |
| ჰალმსტადი | 11 | 1 | 7 | 3 | 9:11 | 10 |
| ნორჩიოპინგი | 11 | 2 | 4 | 5 | 9:13 | 10 |
| ჰამარბი | 11 | 2 | 3 | 6 | 18:23 | 9 |

### ავსტრია

არ-3 ტური: ავსტრია — გრაცერი 3:0; პაშინგი — ზალცბურგი 1:0; შტურმი — რიდი 2:0; ადმირა — კერნტენი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაშინგი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| რაპიდი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| შტურმი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 |
| ადმირა | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| კერნტენი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ბრეგენცი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| რიდი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| გრაცერი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| ზალცბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:4 | 0 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

იყიდება
ვაკეში, ჯაყელიძეზე
ახალგარემონტებული,
4-ოთახიანი, დუპლექსის
ტიპის ბინა
ტ: 29-13-75; 899 11-64-46



ეროვნული ბიბლიოთეკა



მიმალულ მარსელო ბიელსას ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

# გრონდონამ ბიელსას მუნდიალი დაუვიწყა

**პრესა** ბჭობდა, ხულიო გრონდონა კი იცინოდაო. განვმარტოთ: პრესაში არგენტინულ მედიას ვგულისხმობთ, ხოლო ხულიო გრონდონა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია. პრესა კი ბჭობდა და მარჩიელობდა იმას, თუ ვინ იქნება არგენტინის ნაკრების მომავალი მწვრთნელი...

მარსელო ბიელსას მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავარდნის შემდეგ კონტრაქტის ვადა ამოეწურა. თუმცა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა მუნდიალზე უსახურად გამოსვლის შემდეგ, საერთო მოსაზრებით, კონტრაქტის ვადის გასვლაც რომ არა, ბიელსას მაინც გააგდებდნენ. ყველაზე სავარაუდო იყო ის, რომ არგენტინის ნაკრებს ხოსე პეკერმანს ჩააბარებდნენ — მწვრთნელს, რომელმაც ქვეყნის ახალგაზრდული გუნდი სამჯერ ზედიზედ გახადა მსოფლიოს ჩემპიონი.

გრონდონამ კი ოთხშაბათს ფედერაციის სხდომაზე თავისი კომენტარით ყველაფერი თავდაყირა დააყენა, მან თქვა: „შევეცდებით, მარსელო ბიელსასთან მოლაპარაკება დავიწყოთ და კონტრაქტის გაგრძელებაზე დავიყოლიოთ."

და პეკერმანი? „ის ნაკრების მწვრთნელობას არ დაგვეთანხმდა" — განმარტა გრონდონამ, თუმცა პეკერმანის უარის მიზეზი აღარ დააზუსტა.

ასეა, ფედერაცია აპირებს, ნაკრების სათავეში ბიელსა დატოვოს, რომელსაც კორეა-იაპონიაში არგენტინელთა წარუმატებლობა ერთპიროვნულად დაბრალდა. სხვათა შორის, ბიელსა აზიიდან შინ დაბრუნების შემდეგ ბუენოს აირესში არ გაჩერდა, ქალაქ როსარიოში განმარტოვდა და როგორც ამბობენ, პრესასთან ურთიერთობას ერიდება.

ამ საკითხზე თავად ფეხბურთელთა აზრიც საინტერესოა. მაგალითად, გაბრიელ ბატისტუტამ განაცხადა, მარსელო ბიელსა პოსტზე უნდა დარჩესო.

ვეტერან თავდამსხმელს დაეთანხმა ხუან სებასტიან ვერონიც: „მხოლოდ სამ მატჩში განცდილმა წარუმატებლობამ არ უნდა გადაწონოს ის ოთხი წელიწადი, როცა ბიელსამ ნაკრებისთვის დიდებულად იმუშავა."

ამ აზრს არიელ ორტეგაც დაეთანხმა, კაცს ამდენი ღვაწლი ერთი ხელის მოსმით წყალში არ უნდა ჩავუყაროთო.

სხვათა შორის, იუწყებიან, რომ ფინანსურად არცთუ წელში გამართულ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას გარკვეული თანხა კიდევ აქვს გადასახდელი ბიელსასთვის, თუმცა, როგორც გრონდონამ თქვა, ეს თემა სხდომაზე არ განხილულა.

**ნიკა შუბლაძე**



ხულიო გრონდონა

# ვყიდულობ, რათა გავყიდო

## მილანმა პარმას გუნდი გადაუშალა

**იტალიური** პრესის ცნობით, „მილანის" ხელმძღვანელობა თანახმაა, „პარმას" ფაბიო კანავაროში რომელიმე მილანელი გაუცვალოს, გარდა შეუცვლელი მოთამაშეებისა.

ყველაზე სავარაუდოა, რომ შემდეგი ოპერაცია განხორციელდეს: „მილანმა" „პარმადან" იტალიის ნაკრების ცენტრალური მცველი გადაიყვანოს, ხოლო საპირისპირო მიმართულებით დანიის ნაკრების თავდამსხმელი იონ დალ ტომასონი გაუშვას. ეს ფეხბურთელი „მილანმა" გაზაფხულზე ჰოლონდიური „ფეიენოორდისგან" შეიძინა, თუმცა რატომღაც უკვე ალაპარაკდნენ, მას „სან სიროზე" დიდი ხნით თამაშის პერსპექტივა არ უნდა ჰქონდესო.

„მილანში" კიდევ ერთი ფეხბუთელია, რომელიც შესაძლოა, „პარმასთან" მომავალ გარიგებაში ფიგურირებდეს. როგორც ამბობენ, მსოფლიოს ჩემპიონ როკე ჟუნიორს მომავალ სეზონში „მილანის" ძირითად შემადგენლობაში თამაშის ნაკლები შანსი აქვს, ამიტომ კლუბი 25 წლის ბრაზილიელის განათხოვრებას აპირებს. არ არის გამორიცხული, „მილანმა" სწორედ როკე ჟუნიორი გაუცვალოს „პარმას" და თან გარკვეული თანხაც დაამატოს.

როკე ჟუნიორის შეძენის სურვილი ახლახან „ლიდს იუნაიტედმაც" გამოთქვა. იორკშირელებმა, მოგეხსენებათ, ახლახან ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრალურ მცველად აღიარებული რიო ფერდინანდი გაუშვეს „მანჩესტერ იუნაიტედში" და მას შემდეგ შემცვლელს აქტიურად ეძებენ. საუბარია იმაზეც, რომ შესაძლოა, „ლიდსმა" იაპ სტამი ან რობერტო აიალა ჩაიგდოს ხელში.

**ნიკა შუბლაძე**





იონ დალ ტომასონს ფაბიო კანავაროს გამო მილანელობას არ აცლიან



ზბიგნევ ბონეკი

# თითქმის წინასწარმეტყველი

## გამარჯვების ბონეკისეული რეცეპტი

იჟი ენგელმა პოლონეთის ნაკრები აზიაში რიხით წაიყვანა. შორეულ აღმოსავლეთში პოლონელები ძალიან შორს აღმოჩნდნენ იმ ფეხბურთისგან, შესარჩევ ეტაპზე რომ ითამაშეს. საწყისი ორი მატჩი ჩააგდეს, ამერიკელებს მართალია, სძლიეს, თუმც მწვრთნელს წარუმატებლობა მაინც არ აპატიეს. ახლა ნაკრებს სახელოვანი ზბიგნევ ბონეკი წვრთნის, რომელიც „იუვენტუსში" მიშელ პლატინისთან ერთად ბრწყინავდა. ბონეკი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

**— ადრე თქვით, რომ 1978 წლის პოლონეთის ნაკრები საუკეთესოა თავის ისტორიაში. თუ ახლაც იგივეს ფიქრობთ, ხომ არ აპირებთ ახალი გუნდის შექმნისას იმჟამინდელი ნაკრებით იხელმძღვანელოთ?**

— მართლაც უდიდესი გუნდი გვყავდა. 1978-ში მსოფლიოს ჩემპიონატზე მეხუთე ადგილზე გავედით. 1982-ში მოპოვებული ბრინჯაო კი პროგრესის მაჩვენებელია. თუმც, რაც უნდა კარგი იყოს, ძველის გამეორებას ნამდვილად არ ვაპირებ. ჯერ ერთი, დღეს სხვა ფეხბურთია, თან პოლონეთში კაშკაშა ვარსკვლავები არ არიან. იმედი მაქვს, არსებული შემადგენლობით იმდენს მოვახერხებ, რომ პოლონეთი მსოფლიოში კვლავაც ანგარიშგასაწევი ძალა იყოს. სანამ თანამდებობაზე დანიშვნას დავთანხმდებოდი, ვითარება გავაანალიზე, შინაურ ჩემპიონატსაც გადავხედე და დავრწმუნდი — პერსპექტიული ფეხბურთელები ნამდვილად გვყავს. ლეგიონერებიც საკმაოდ კარგად გამოიყურებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვრთნელობაზე უარს ვიტყოდი.

**— მუნდიალზე ნაკრების გამოსვლას სპეციალისტები ორნაირად აფასებენ. შესარჩევი ციკლი ძლიერად ჩაატარა, აზიაში კი კრახი განიცადა. თქვენი აზრით, მიზეზი რა იყო?**

— ვფიქრობ, მიზეზი ფეხბურთელების ფსიქოლოგიაშია საძებნი. უმეტესობამ ვერ გაიცნობიერა თავისი პასუხისმგებლობა. თუმც საჯაროდ ჩემი წინამორბედის შეფასებისგან თავს შევიკავებ, დასკვნები კი სამომავლოდ გამომადგება. ახლა ვიცი, როგორ ურთიერთობას დავამყარებ ნაკრების წევრებთან. მწვრთნელი დიქტატორი არ უნდა იყოს, ოღონდ არც გადამეტებული დაახლოება მოიტანს სიკეთეს.

**— ალბათ, კანდიდატები საქმეში უკვე იხილეთ და გარკვეული აზრიც ჩამოგიყალიბდათ. მოსალოდნელია თუ არა ძირეული ცვლილებები?**

— არც ძველი ცოდვებისთვის დავსჯი ვინმეს და არც ძველი დამსახურების მიხედვით შევაფასებ. ისე კი, საზოგადოდ ჩემეული კანდიდატების სიას ჯერ არ გავამხელ. ისიც მესმის, რომ გადაწყვეტილების მისაღებად ბევრი დრო არ დამრჩა, რადგან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი კარს მოგვადგა, მაგრამ აჩქარებაც არ ივარგებს.

**— ემანუელ ოლისადებემ გაამართლა. თქვენ კიდევ რომელიმე უცხოელი ფეხბურთელის „გაპოლონელებაზე" გაფიქრიათ?**

— ცხადია, უნდა შევიარაღდეთ იმით, რაც ნაკრებს სარგებლობას მოუტანს, თუმცა ოლისადებე ამ შემთხვევაში გამონაკლისია.

**— ფეხბურთელობისას უცხოურ კლუბში გადასვლაზე დიდხანს ყოყმანობდით. ხომ არ დააგვიანეთ?**

— „იუვენტუსთან" კონტრაქტი 26 წლისამ გავაფორმე. ტურინში 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩაველი. ესპანეთში კარგი თამაშის გამო ჩემი სატრანსფერო ფასი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ბელგიელთა კარში ჩემს მიერ გატანილმა სამმა გოლმა ფასი გაამყარა. დასანანია, მაშინ გაფრთხილებების გამო იტალიასთან ნახევარფინალი გამოვტოვე. სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის მატჩში ფრანგებს ვძლიეთ. „იუვენტუსში" ოთხი წელიწადი გავატარე და არაერთი ჯილდო მოვიგე. როგორც ხედავთ, არსად დამიგვიანია.

**— კარიერის დასასრულს პოლონეთის ნაკრების კაპიტანმა ზბიგნევ ბონეკმა მისთვის მესამე მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა...**

— 1982-ში წარმატების შემდეგ ხალხი ჩვენგან უკვე გაცილებით მეტს ითხოვდა, მაგრამ მექსიკის ჩემპიონატის მერვედფინალში ბრაზილიასთან დავმარცხდით. ამიტომ, ვფიქრობ, სასაყვედუროც არაფერია. ახლანდელმა ნაკრებმა ხომ ჯგუფიდან საერთოდ ვერ გააღწია.

**— სწორედ ბრაზილიასთან მარცხის შემდეგ ყველაზე მონდომებულ კრიტიკოსებს თქვენ უპასუხეთ, რომ ნაკრებს კიდევ ოცი წელი დასჭირდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად...**

— თავად განსაჯეთ, დიდად არ შევმცდარვარ. სამი ჩემპიონატი გამოვტოვეთ, 16 წელი გავიდა. ჩვენი შემდგომი თაობა აშკარად დაიკარგა. სპორტში კი, როგორც საერთოდ ყველა საქმეში, გამარჯვების სურვილით ანთებული თუ არ ხარ, ვერაფერს მიაღწევ. ვიმედოვნებ, რომ ახლანდელი თაობა თავის სიტყვას იტყვის.

**— ბოლოს და ბოლოს, პასპორტით ვინ ხართ, პანი თუ სინიორი?**

— უკვე დიდი ხანია, ორმაგი მოქალაქეობა მაქვს. ვარშავაშიც და რომშიც თავს კარგად ვგრძნობ. ცხადია, ამჟამად სამშობლოში გაცილებით მეტ დროს ვატარებ, მაგრამ ორი-სამი თავისუფალი დღეც რომ გამოჩნდეს, იტალიაში მივდივარ. რომში სახლი მაქვს და ოჯახიც იქ ცხოვრობს. გოგომ უნივერსიტეტი დაამთავრა, ბიჭი ჯერაც სკოლაშია. ცდილობს, ფეხბურთის, გოლფის და ჩოგბურთის თამაშს, თუმცა მისგან ჩემსავით პროფესიონალი ფეხბურთელი, ალბათ, ვერ დადგება.

**— სანაკრებო დონეზე პრაქტიკის უქონლობა პრობლემებს არ შეგიქმნით?**

— კლუბებთან მუშაობის გამოცდილება მაქვს და ვგონებ, პოლონეთის ნაკრები და ჩემი ხასიათი აშკარად ერთმანეთს ერწყმის. არ დაგავიწყდეთ, რომ ფეხბურთი ჩემთვის მთავარი იყო და ყოველთვის ასე იქნება.

# ევროპული ტრანსფერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

### სერია A

## იუვენტუსი

**წავიდნენ**

ენცო მარესკა (პიაჩენცა)
ნიკოლა ამორუზო (პერუჯა)
ფაბრიციო მიკოლი (პერუჯა)
ვენსან პერიკარი (პორტსმუთი, ინგლისი)
დანიელ ფონსეკა (ნასიონალი, ურუგვაი)
ფაბიან ონილი (პერუჯა)
რონი ობრაიენი (დანდი იუნაიტედი, შოტლანდია)
მანუელე ბლაზი (პერუჯა)
ალესანდრო ფრარა (ბოლონია)
მიკელე პარამატი (ბოლონია)
ჯუზეპე სკული (კროტონე)
ტომას გუზმანი (ტერნანა)
მიკელე პარამატი (ატალანტა)

**მოვიდნენ**

დავიდე ბაიოკო (პერუჯა)
მატეო ბროგი (ბოლონია)
მარკო ბროგი (რიმინი)
ანტონიო კიმენტი (ლეჩე)
სალვატორე ფრეზი (ბოლონია)
ემილიანო მორეტი (ფიორენტინა)
მაურო კამორანეზი (ვერონა)
დარიო ბაჩინი (ნაპოლი)
დანიელე გასტალდელო (ანკონა)
მარკო ძანკი (ვერონა)
მასიმილიანო ვიერი (ანკონა)
გოდეასი (ვერაონა)

## რომა

**წავიდნენ**

მარკოს ასუნსაო (ბეტისი, ესპანეთი)
ანტონიო კარლოს ძაგო (ბეშიქთაში, თურქეთი)
სებასტიან სივილია (პარმა)
ანტონიო კეიასი (ასკოლი)
სიმონე პეპე (ტერნანა)

**მოვიდნენ**

დავიდე ბომბარდინი (პალერმო)
ხოსეპ გვარდიოლა (ბრეშა)
ლუიჯი სარტორი (პარმა)
ტრაიანოს დელასი (პერუჯა)
კრისტიან პანუჩი (მონაკო, საფრანგეთი)

## ინტერი

**წავიდნენ**

დარიო შიმიჩი (მილანი)
დაველა უმითი (გალათასარაი, თურქეთი)
კლარენს ზეედორფი (მილანი)
ადრიანო (პარმა)
ანტონიო პაჩეკო (ესპანიოლი, ესპანეთი)
ანსელმო რობიატი (ანკონა)
ვრატისლავ გრეშკო (პარმა)
სტეფანო ლომბარდი (ანკონა)
ალესიო სკარპი (ანკონა)
პასკუალე პადალინო (კომო)

**მოვიდნენ**

დაველა უმითი (მილანი)
ბერნარდო კორადი (კიევო)
დომენიკო მორფეო (ფიორენტინა)
ფრანჩესკო კოკო (მილანი)
პასკუალე პადალინო (ბოლონია)
დრაგენ ბრნჩიჩი (ანკონა)
მატიას ალმეიდა (პარმა)
კარლოს გამარა (ფლამენგო, ბრაზილია)
პაჩეკო (ესპანიოლი, ესპანეთი)

## მილანი

**წავიდნენ**

დემეტრიო ალბერტინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
ხავი მორენო (ატლეტიკო, ესპანეთი)
ხოსე მარი (ატლეტიკო, ესპანეთი)
დაველა უმითი (ინტერი)
მარკო სიმონე (მონაკო, საფრანგეთი)
ფრანჩესკო კოკო (ინტერი)
დანიელე დაინო (ანკონა)
ადამა მოჰამედ სარი (გალათასარაი, თურქეთი)
ფაბრიციო კოლოჩინი (ატლეტიკო, ესპანეთი)
ლუკა ანტონინი (ანკონა)
ნიკოლა კორენტი (კომო)
სებასტიანო როსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ალესანდრო კოსტაკურტა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მარკო დონადელი (ლეჩე)
მოჰამედ ალიუ დატი (სიენა)
სამირ ბელუფა (ბასტია, საფრანგეთი)
გაბრიელე ალდეგანი (ლივორნო)

**მოვიდნენ**

სემ დალა ბონა (ჩელსი, ინგლისი)
იონ დალ ტომასონი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)
კლარენს ზეედორფი (ინტერი)
დარიო შიმიჩი (ინტერი)
მარკო ბორიელო (ტრევიზო)
მაჩადუ კლეიტონი (კრუზეირო, ბრაზილია)
სირილ დომორო (მონაკო, საფრანგეთი)
ნელსონ დიდა (კორინთიანსი, ბრაზილია)
გაბრიელე ალდეგანი (ალავესი, ესპანეთი)
პიერლუიჯი ორლანდინი (ატალანტა)
დამიანო ძენონი (ატალანტა)
ფრანჩესკო კოკო (ბარსელონა, ესპანეთი )

## კიევო

**წავიდნენ**

ჩირო დე ჩეზარე (კომო)
დიომანსი კამარა (მოდენა)
კრისტიან მანფრედინი (ლაციო)
ბერნარდო კორადი (ინტერი)
ანდრეა ძანკეტა (ვიჩენცა)
სიმონე ბარონე (პარმა)
ანტონიუ კლეიტონი (მანტოვა)
ალესანდრო რინალდი (ატალანტა)
ერიბერტო (ლაციო)

**მოვიდნენ**

ფაბიო ფირმანი (ბოლონია)
ივონე დე ფრანჩესკი (ვენეცია)
ჯონ მენსა (ჯენოა)
დანიელე მორანტე (ტრევიზო)
ლილიან ნალისი (ბასტია, საფრანგეთი)
სერჯო პელისიერი (სპალ)
მარკო ვერონეზე (მოდენა)
ფრანჩესკო ვინჩენტი (კარარეზე)
ბიორნ რუნსტრიომი (ბოლონია)
ემანუელე პეზარეზი (ლაციო)

## ლაციო

**წავიდნენ**

კარელ პობორსკი (სპარტა, ჩეხეთი)
ივან დე ლა პენია (პორტუ, პორტუგალია)
ანდრეა კომაცი (ვერონა)
ფაბიო მინიერი (მარტინა)
ფაბიო ოლა (აკილა)
ალესიო სესტუ (მოდენა)
გაისკა მენდიეტა (ბარსელონა, ესპანეთი)
კლაუდიო ლოპესი (ატლეტიკო, ესპანეთი)
ემანუელე პეზარეზი (კიევო)

**მოვიდნენ**

კრისტიან მანფრედინი (კიევო)
მასიმო ოდო (ვერონა)
ხუან პაბლო სორინი (კრუზეირო, ბრაზილია)
რობერტო ბარონიო (ფიორენტინა)
ემანუელე პეზარეზი (ნაპოლი)
ენრიკო კიეზა (ფიორენტინა)
ერიბერტო (კიევო)

## ბოლონია

**წავიდნენ**

ფაბიო ფირმანი (კიევო)
მატეო ბროგი (იუვენტუსი)
სალვატორე ფრეზი (იუვენტუსი)
პასკუალე პადალინო (ინტერი)
ლამბერტო ძაული (ვიჩენცა)
მასიმო ტარანტინო (კომო)
ფაბიო პეკია (კომო)
ბიორნ რუნსტრიომი (კიევო)

**მოვიდნენ**

ალესანდრო ფრარა (იუვენტუსი)
მიკელე პარამატი (იუვენტუსი)
ანდრეა არტიდო (კომო)
ლეონარდო კოლუჩი (ვერონა)
ანდრეა პანზერა (ალბინოლეფე)
სმიტი (ცელეზნიკი, იუგოსლავია)

## პერუჯა

**წავიდნენ**

ტრაიანოს დელასი (რომა)
დავიდე ბაიოკო (იუვენტუსი)
ანდრეა ბაძანი (სამპდორია)
ოსკარ კორდობა (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
რაჯა რეზაეი (ისფაჰანი, ირანი)
სალვატორე მონაკო (კატანია)
ლორენცო ბუკი (კატანია)

**მოვიდნენ**

ნიკოლა ამორუზო (იუვენტუსი)
ფაბრიციო მიკოლი (იუვენტუსი)
ფაბიან ონილი (იუვენტუსი)
ცელკო კალაჩი (როდა, ჰოლანდია)
მანუელე ბლაზი (იუვენტუსი)
ანტონიო კრინიტი (სამბენეტესე)
მასიმო დე მარტინი (კატანია)
ჯენარო დელვეკიო (სამბენეტესე)
იბრაჰიმ კარგბო (მოლენბეკი, ბელგია)
ჯორჯო ლა ვიზტა (ფერმანა)
უილიამ ვიალი (ვენეცია)
იოვან ტანასიევიჩი (ვოივოდინა, იუგოსლავია)
იანუშ მატიუში (კოტბუსი, გერმანია)
ოსკარ პერესი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)

## ატალანტა

**წავიდნენ**

პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი)
კორადო კოლომბო (სამპდორია)
ჯანლუკა ფალზინი (პარმა)
დამიანო ძენონი (მილანი)
სალვატორე ფემიანო (კომო)
მასიმო პაგანინი (სამპდორია)

**მოვიდნენ**

აპოსტოლოს ლიოლიდისი (არისი, საბერძნეთი)
ალესანდრო რინალდი (კიევო)
კარმინე გაუტიერი (პიაჩენცა)
მაურო მინელი (ლუმეცანე)
დავორ იავორჩიჩი (ტრევიზო)
მიკელე პარამატი (იუვენტუსი)

## პარმა

**წავიდნენ**

ლუიჯი სარტორი (რომა)
მატიას ალმეიდა (ინტერი)
გაეტანო გრიეკო (ემპოლი)
სერგეი გურენკო (პიაჩენცა)
ამადეო მანგონე (ბრეშა)
ხუნიორ მონტანო (პიაჩენცა)
ალენ ბოგოსიანი (ესპანიოლი, ესპანეთი)
სტეფან აპია (ბრეშა)
ანტონიო ბენარივო (ტრანსფერზეა)
ხორხე ბოლანო (სამპდორია)
ნესტორ სენსინი (უდინეზე)
მარტინ ჯეტუ (ფულემი, ინგლისი)
კარვალიუ დე ამაური (პიაჩენცა)
სავო მილოშევიჩი (ესპანიოლი, ესპანეთი)
ჯამპიერო მაინი (ანკონა)

**მოვიდნენ**

ვრატისლავ გრეშკო (ინტერი)
დანიელე ბონერა (ბრეშა)
ადრიანო (ინტერი)
სებასტიან სივილია (რომა)
სტეფანო ტორიზი (მარსელი, საფრანგეთი)
ალბერტო ჯილარდინო (ვერონა)
პაოლო პოჯი (პიაჩენცა)
ალექს დე სოუზა (პალმეირასი, ბრაზილია)
სიმონე ბარონე (კიევო)
მარკ ბრეშიანო (ემპოლი)
ჯანლუკა ფალზინი (ატალანტა)
პაოლო კანავარო (ვერონა)
ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (პიაჩენცა)
სავო მილოშევიჩი (სარაგოსა, ესპანეთი)
პატრიკ მბომა (სანდერლენდი, ინგლისი)
ფრანჩესკო გიბსი (მონცა)
დანიელე მაჯო (ვიჩენცა)

## ტორინო

**წავიდნენ**

სიმონე ტირიბოკი (სიენა)
ანდრე და სილვა ლუჩანო პინგა (სიენა)
მასიმო ბრამბილა (სიენა)

**მოვიდნენ**

ფედერიკო ბალძარეტი (სიენა)
ჯიბრილ დიავარა (კოზენცა)
დავიდე მანდელი (სიენა)
იკსელ ოსმანოვსკი (ბორდო, საფრანგეთი)
ჯენარო სკარლატო (უდინეზე)
ფრანკო სემიოლი (ტერნანა)
ვინჩენცო სომეზე (პიაჩენცა)
სიმონე ტირიბოკი (ანკონა)

## პიაჩენცა

**წავიდნენ**

გაბრიელე ამბროზეტი (ჩელსი, ინგლისი)
კარვალიუ დე ამაური (ემპოლი)
სერჯო ვოლპი (სამპდორია)
პაოლო პოჯი (პარმა)
კარმინე გაუტიერი (ატალანტა)
ფრანჩელინო და სილვა მატუზალემი (პარმა)
ვინჩენცო სომეზე (ტორინო)
ნიკოლა კაჩა (ტერნანა)
მარკო ლივერანი (პავია)
ნიკოლა მორა (ბარი)
სტეფანო საკეტი (სამპდორია)

**მოვიდნენ**

ენცო მარესკა (იუვენტუსი)
სერგეი გურენკო (პარმა)
ამადეო მანგონე (ბრეშა)
ვინჩენცო სომეზე (ვიჩენცა)
ხუნიორ მონტანო (პარმა)
სტეფანო დი ფიორდო (სორა)
დარიო მარკოლინი (სამპდორია)
ლუიჯი რიჩიო (ანკონა)
მარკო სტელა (პესკარა)
რიკო (ტერნანა)

## ბრეშა

**წავიდნენ**

ხოსეპ გვარდიოლა (რომა)
ამადეო მანგონე (პიაჩენცა)
დანიელე ბონერა (პარმა)
სტეფანო ალიარდი (კოზენცა)
ჯონათან ბინოტო (კომო)
სალვატორე სუსი (ჯენოა)
ლუკა კასტელაცი (რეჯინა)

**მოვიდნენ**

ყილბერტო მარტინესი (საპრისა, კოსტა რიკა)
ამადეო მანგონე (პარმა)
მატეო სერენი (იფსვიჩი, ინგლისი)
სტეფან აპია (პარმა)
დარიო დაინელი (ვერონა)
დავიდე მიჩილო (კოზენცა)

## უდინეზე

**წავიდნენ**

ალან გაარდე (ოლბორგი, დანია)
ჯენარო სკარლატო (ტორინო)
ანდრეა დიმპორძანო (ანკონა)
მაურო ესპოზიტო (კალიარი)
ნიკოლა მოლინარი (ალტო ადიჯე)
უინსტონ პარკსი (ასკოლი)
ლუიჯი ტურჩი (სამპდორია)
მარკო ძამბონი (მოდენა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## იტალია

### სერია A

**მოვიდნენ**

პატრიკ ბენეფორი (ბასტია, საფრანგეთი)
ჯუზეპე ჯემიტი (აინტრახტი, გერმანია)
რეჟის ჟენო (სტანდარდი, ბელგია)
მარეკ იანკულოვსკი (ნაპოლი)
ხავიერ ლოპეს დასერო (ნაპოლი)
ფელიჩანო მაგრო (ციურიხი, შვეიცარია)
ნესტორ სენსინი (პარმა)
ოლივერ ბირჰოფი (მონაკო, საფრანგეთი)
კარსტენ იანკერი (ბაიერნი, გერმანია)

### ემპოლი

**წავიდნენ**

მასიმო მაკარონე (მიდლსბრო, ინგლისი)
მარკ ბრეშიანო (პარმა)
რიკარდო ბონეტო (ასკოლი)
პიეტრო ფუსკო (კატანია)
ფაბრის რაზაკი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი)

**მოვიდნენ**

კარვალიუ დე ამაური (პიაჩენცა)
ანტონიო ბუშე (ლუმეცანე)
გაეტანო გრიეკო (პარმა)
მარკო სტორარი (ანკონა)
სტეფანო ლუკინი (ტერნანა)
იგლი ვანუკი (ვენეცია)

### კომო

**წავიდნენ**

ანდრეა არტიდო (ბოლონია)
მასიმო ბეგა (ტრიესტინა)
დემეტრიო დელ კიარო (ლუკეზე)
ლიუბიშა დუნდიერსკი (ტრევიზო)
სალვატორე ფემიანო (ლუკეზე)
ფაბიო გალო (ტრევიზო)
პერსი ოლივარესი (ლუკეზე)
სტეფანო პავონე (მესინა)
კრისტიან პედონე (სამპდორია)
კარლო ტალდო (მოდენა)
კრისტიან ტერნი (ტერნანა)
კამორანეზი (მესინა)
კალაცი (როდა, ჰოლანდია)

**მოვიდნენ**

მირკო ბენინი (ფიორენტინა)
საშა ბიელანოვიჩი (ვარტექსი, ხორვატია)
ნიკოლა კორენტი (მილანი)
ჩირო დე ჩეზარე (კიევო)
ფაბრიციო ფერონი (ვერონა)
ფაბიო გალო (ტერნანა)
ჟუარესი (ლეჩე)
პასკუალე პადალინო (ინტერი)
მასიმო ტარანტინო (ბოლონია)
ფაბიო პეკია (ბოლონია)
ჯონათან ბინოტო (კომო)
ლუკა ბელინჯერი (ალძანო)
ბენიტო კარბონე (მიდლსბრო, ინგლისი)
ვინჩენცო კიანეზე (ვიჩენცა)
ფაბიო კრიბარი (ლუკეზე)
ნიკოლა ლაზეტიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი)
მაურისიო სერნა (ატლეტიკო, კოლუმბია)
ჟან-პოლ ვან გასტელი (ტერნანა)
ლიუბიშა დუნდიერსკი (ატალანტა)

### მოდენა

**წავიდნენ**

მარკო ვერონეზე (კიევო)
ანტონიო ფანტინი (ვენეცია)
ვიტორიო გრიეკო (კატანია)
ეუჯენიო ტარანა (ანკონა)
მაურიციო დომიცი (სამპდორია)
ანდრეა რაბიტო (სამპდორია)

**მოვიდნენ**

დიომანსი კამარა (კიევო)
ალესანდრო ძამპერინი (პორტსმუთი, ინგლისი)
მარკო ძამბონი (უდინეზე)
კარლო ტალდო (კომო)
ნიკოლა კამპედელი (სალერნიტანა)
ნელო რუსო (ვიტერბეზე)
ჯუზეპე სკული (კროტონე)
ალესიო სესტუ (ლაციო)
მარსელო ალბინო (ანკონა)

### რეჯინა

**წავიდნენ**

ანტონიო ბალდინი (ნაპოლი)
სტეფანო კაზალე (კოზენცა)
ნიკოლა პაგანი (კოზენცა)
ბეტონი (ქსამაქსი, შვეიცარია)

**მოვიდნენ**

შუნსუკე ნაკამურა (იოკოჰამა მარინოსი, იაპონია)
ვიქტორ საპატა (რივერ პლეიტი, არგენტინა)
კარლოს პარედესი (პორტუ, პორტუგალია)
ლუკა კასტელაცი (ბრეშა)
ბრუნო ჩირილო (ლეჩე)
სერაო (პადოვა)
ნასიმ მენდილი (კოზენცა)

## ესპანეთი

### პრიმერა დივიზიონი

### ვალენსია

**წავიდნენ**

დენის სერბანი (რაპიდი, რუმინეთი)
ლივერო პარი (ალბასეტე)

**მოვიდნენ**

ჟან-ფელიქს დოროთე (რენი, საფრანგეთი)

### დეპორტივო

**წავიდნენ**

ემერსონი (ატლეტიკო, ესპანეთი)
მარინო ელდერი (ბენფიკა, პორტუგალია)
ნუნო (ტრანსფერზეა)

**მოვიდნენ**

რობერტო აკუნია (სარაგოსა)
ხესუსი (ატლეტიკო)
ჟორჟე ანდრადე (პორტუ, პორტუგალია)

### რეალი

**წავიდნენ**

ელვირ ბალიჩი (ტრანსფერზეა)
დავიდ აგანსო (ვალიადოლიდი)
აიტორ კარანკა (ბილბაო)
ხავიერ პორტილიო (რეალი B)
რაულ ბრავო (რეალი B)
ოსკარ მინამბრესი (რეალი B)
ესტებან კამბიასო (რეალი B)
ფერნანდო (რეალი B)
სავიო ბორტოლინი (ტრანსფერზეა)
ფლავიო კონსეისაო (ტრანსფერზეა)
ჯერემი ნჯიტაპი (მიდლსბრო, ინგლისი)
პედრო მუნიტისი (ტრანსფერზეა)
ალბერტ სელადესი (ტრანსფერზეა)
ედვინ კონგო (ტრანსფერზეა)
ივან კამპო (ტრანსფერზეა)
მანუელ არანდა (ვილიარეალი)

**მოვიდნენ**

ელვირ ბალიჩი (რაიო ვალეკანო)
ალბერტო რივერა (მარსელი, საფრანგეთი)
ესტებან კამბიასო (რივერ პლეიტი, არგენტინა)

### ბარსელონა

**წავიდნენ**

ფრანჩესკო კოკო (მილანი, იტალია)
ალფონსო პერესი (ბეტისი)
სერხი ბარხუანი (ატლეტიკო)
ხოსე მანუელ რეინა (ვილიარეალი)
მიკელ არტეტა (რეინჯერსი, შოტლანდია)
აბელარდო ფერნანდესი (ალავესი)
ლუის გარსია (ატლეტიკო)
რიშარ დუტრუელი (ალავესი)
რივალდო (ტრანსფერზეა)

**მოვიდნენ**

ალფონსო პერესი (მარსელი, საფრანგეთი)
ლუის გარსია (ვალიადოლიდი)
რობერტ ენკე (ბენფიკა, პორტუგალია)
ხუან რომან რიკელმე (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)
გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია)

### სელტა

**წავიდნენ**

პაბლო ანდრეს კონტრერასი (ოსასუნა)
ზვონიმირ ბობანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

**მოვიდნენ**

სებასტიან მენდესი (ველეს სარსფილდი, არგენტინა)
პეტერ ლუქსენი (პსჟ, საფრანგეთი)

### ბეტისი

**წავიდნენ**

ვისენტე ხავიერ პინო (ბადახოსი)
ალბერტო მერინო (უელვა)

**მოვიდნენ**

მარკოს ასუნსაო (რომა, იტალია)
ალფონსო პერესი (ბარსელონა)
ერნესტო ფარიასი (ესტუდიანტესი, არგენტინა)

### ალავესი

**წავიდნენ**

გაბრიელე ალდეგანი (მილანი, იტალია)
ფაბრიციო კოლოჩინი (მილანი, იტალია)
მარტინ ერერა (ფულემი, ინგლისი)

**მოვიდნენ**

აბელარდო ფერნანდესი (ბარსელონა)
გუსტავო ლომბარდი (რივერ პლეიტი, არგენტინა)
კრისტოფერ კანუ (აიაქსი, ჰოლანდია)
რიშარ დუტრუელი (ბარსელონა)
ედუ ალონსო (ბილბაო)

### სევილია

**წავიდნენ**

სერხიო გარსია (უელვა)

**მოვიდნენ**

ვინი სემეისი (ლას პალმასი)
ხუან კარლოს კაბალიერო (ფიგერესი)
ხუან კარლოს მარინი (ფიგერესი)

### ბილბაო

**წავიდნენ**

ედუ ალონსო (ბეტისი)

**მოვიდნენ**

აიტორ კარანკა (რეალი)
ედუ ალონსო (ლას პალმასი)

### რაიო ვალეკანო

**წავიდნენ**

ელვირ ბალიჩი (რეალი)
ანხელ ვივარ დორადო (რასინგი)
ხორდი ფერონი (სარაგოსა)

**მოვიდნენ**

არავინ

### ვალიადოლიდი

**წავიდნენ**

აროლდ ლოზანო (მალიორკა)
ლუის გარსია (ბარსელონა)

**მოვიდნენ**

ოსკარ ფუენტესი (ბადახოსი)
დავიდ აგანსო (რეალი)
ხავიერ დავიდ მუნისი (როსარიო, არგენტინა)
სანჩესი (ბადახოსი)

### სოსიედადი

**წავიდნენ**

გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი)
მატიას ასპერი (მალმიო, შვედეთი)
ედგარას იანკაუსკასი (პორტუ, პორტუგალია)

**მოვიდნენ**

გიორგი დემეტრაძე (ლოკომოტივი, რუსეთი)
იგორ ხაურეგი (ოვიედო)
ნიჰათ ქანვეჩი (ბეშიქთაში, თურქეთი)
ხავი ბაკერო (ეიბარი)

### ესპანიოლი

**წავიდნენ**

ენრიკე დე ლუკასი (ჩელსი, ინგლისი)
პაულუ სოუზა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ივან დიასი (ალბასეტე)
ოსკარ გარსია (ვესტ ჰემი, ინგლისი)
პაჩეკო (ინტერი, იტალია)

**მოვიდნენ**

ფრანსისკო პალენსია (კრუზ ასული, მექსიკა)
მაქსიმილიანო როდრიგესი (ოლდ ბოიზი, არგენტინა)
ხავი როჩა (ვილიარეალი)
ანტონიო პაჩეკო (ინტერი, იტალია)
ალექს მანინგერი (არსენალი, ინგლისი)
ალენ ბოგოსიანი (პარმა, იტალია)
ფრედსონ პერეირა კამარა (პარანა, ბრაზილია)
სავო მილოშევიჩი (პარმა, იტალია)

### ვილიარეალი

**წავიდნენ**

ხავი როჩა (ესპანიოლი)
გეორგე კრაიოვიანუ (ხეტაფე)

**მოვიდნენ**

რუბენ რეიესი (ოვიედო)
ედუარდო ჟულიან ბელეტი (სან პაულუ, ბრაზილია)
ხოსე მანუელ რეინა (ბარსელონა)
რუბენ რეიესი (ოვიედო)
მანუელ არანდა (რეალი)
ოსკარ სანჩესი (ბადახოსი)

### მალიორკა

**წავიდნენ**

ლეო ბიაჯინი (პორტსმუთი, ინგლისი)

**მოვიდნენ**

აროლდ ლოზანო (ვალიადოლიდი)

### ოსასუნა

**წავიდნენ**

დანიელ მონტენეგრო (მარსელი, საფრანგეთი)

**მოვიდნენ**

პაბლო ანდრეს კონტრერასი (სელტა)
ინიაკი მუნიოსი (ნუმანსია)
მანუელ ვიდრიო (პაჩუკა, მექსიკა)
კარლოს ოჩოა (მონტერეი ტაიგერსი, მექსიკა)
ანტონიო ლოპესი (ატლეტიკო)

### ატლეტიკო

**წავიდნენ**

ტონი ხიმენესი (უცნობია)
ანტონიო ლოპესი (ოსასუნა)
კატალინ მუნტიანუ (ალბასეტე)
ჟუნინიო პაულისტა (მიდლსბრო, ინგლისი)
ხესუსი (დეპორტივო)

**მოვიდნენ**

ემერსონი (დეპორტივო)
სერხი ბარხუანი (ბარსელონა)
ლუის გარსია (ბარსელონა)
ფაბრიციო კოლოჩინი (მილანი, იტალია)
ხავი მორენო (მილანი, იტალია)
დემეტრიო ალბერტინი (მილანი, იტალია)
ხოსე მარი (მილანი, იტალია)
კლაუდიო ლოპესი (ლაციო, იტალია)

### რასინგი

**წავიდნენ**

სიგურდ რუშფელდტი (აუსტრია, ავსტრია)

**მოვიდნენ**

ანხელ ვივარ დორადო (რაიო ვალეკანო)
იოსი ბენაიუნი (მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი)
ილან ბაჩარი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი)

### უელვა

**წავიდნენ**

არავინ

**მოვიდნენ**

სერხიო გარსია (სევილია)
კრისტიან მარტინესი (ლევანტე)
ფრანსისკო გალიეგო (კორდობა)
ხავიერ მაირი (კორდობა)
ალბერტო მერინო (ბეტისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპული ტრანსფერები

## ინგლისი

### პრემიერლიგა



რიჩარდ რაიტს „ევერტონის" კარი ანდეს

**არსენალი**

ნავიდნენ

დევიდ გრონდინი (კაენი, საფრანგეთი)
იუნიჩი ინამოტო (ფულემი)
ალექს მანინგერი (ესპანიოლი, ესპანეთი)
ალბერტო მენდესი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტონი ადამსი (თამაში მიატოვა)
ჟილ გრიმანდი (თამაში მიატოვა)
რონ რიკეტსი (ტოტენჰემი)
ჯონ ჰალსი (ბევერენი, ბელგია)
ლაიამ ჩილვერსი (ბევერენი, ბელგია)
სტივენ სიდუელი (ბევერენი, ბელგია)
რიჩარდ რაიტი (ევერტონი)

მოვიდნენ

ალექს მანინგერი (ფიორენტინა, იტალია)
პასკალ სიგანი (ლილი, საფრანგეთი)

**ლივერპული**

ნავიდნენ

გარი მაკალისტერი (ქოვენთრი)
ნიკოლა ანელკა (პსჟ, საფრანგეთი)
ჯეიმი რედნაპი (ტოტენჰემი)
იარი ლიტმანენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მოვიდნენ

ბრუნო შეირუ (ლილი, საფრანგეთი)
ალიუ დიარა (ბაიერნი, გერმანია)
ელ-ჰაჯი დიუფი (ლანსი, საფრანგეთი)
სალიფ დიაო (სედანი, საფრანგეთი)

**მანჩესტერ იუნაიტედი**

ნავიდნენ

რონი უოლვორკი (ვესტ ბრომვიჩი)
რაიმონდ ვან დერ გოუ (ვესტ ჰემი)
პოლ რაჩუბკა (ჩარლტონი)
მარკ ლინჩი (სენტ ჯონსტონი, შოტლანდია)
ნიკოლას ბაქსტერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ნიკ კალკინი (ქუინზ პარკ რეინჯერსი)
დენის ირვინი (ვულვერჰემპტონი)
რონი იონსენი (ასტონ ვილა)

მოვიდნენ

ნიკ სტილი (პიტერბრო)
რიო ფერდინანდი (ლიდსი)

**ნიუკასლი**

ნავიდნენ

კარლ კორი (შეფილდ იუნ.)
მარკ ბოიდი (პორტ ვეილი)
სტივ კოლდუელი (ბრედფორდი)
გარი კოლდუელი (ქოვენთრი)
სტიუარტ გრინი (კარლაილი)
ჯეიმს კოპინგერი (ექსეტერი)
დისტინი (მანჩესტერ სიტი)

მოვიდნენ

უგო ვიანა (სპორტინგი, პორტუგალია)
სილვენ დისტინი (პსჟ, საფრანგეთი)
ტიტუს ბრემბლი (იფსვიჩი)

**ლიდსი**

ნავიდნენ

დენი ჰეი (უოლსოლი)
რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნ.)

მოვიდნენ

არავინ

**ჩელსი**

ნავიდნენ

სემ დალა ბონა (მილანი, იტალია)
ლეონ ნაითი (ჰადერსფილდი)
სლავიშა იოკანოვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მოვიდნენ

ენრიკე დე ლუკასი (ესპანიოლი, ესპანეთი)
გაბრიელე ამბროზეტი (პიაჩენცა, იტალია)
ფლავიო კონსეისაო (რეალი, ესპანეთი)

**ვესტ ჰემი**

ნავიდნენ

რიგობერტ სონგი (კიოლნი, გერმანია)
ჰეიდენ ფოქსი (პორტსმუთი)
სვენ ანდერსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მაიკლ ფერანტე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
კრეიგ ფორესტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
შაკა ჰისლოპი (პორტსმუთი)
პოლ კიტსონი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სტივენ პოტსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ომერ რიზა (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მოვიდნენ

იუსუფ სოფიენე (ოსერი, საფრანგეთი)
ოსკარ გარსია (ესპანიოლი, ესპანეთი)
რაიმონდ ვან დერ გოუ (მანჩესტერ იუნ.)

**ასტონ ვილა**

ნავიდნენ

დიონ დაბლინი (მილუოლი)
პიტერ შმაიხელი (მანჩესტერ სიტი)

მოვიდნენ

მაიკლ ბულდინგი (გრიმსბი)
მარკუს ოლბოკი (ჰერენვენი, ჰოლანდია)
ლი გრანტი (იორკი)
რონი იონსენი (მანჩესტერ იუნ.)
აარონ პოსტმა (გრააფსხაპი, ჰოლანდია)
ულისე დე ლა კრუზი (ჰიბერნიანი, შოტლანდია)

**ტოტენჰემი**

ნავიდნენ

კრის არმსტრონგი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
იანიკ კამანანი (სტრასბური, საფრანგეთი)

მოვიდნენ

ჯეიმი რედნაპი (ლივერპული)
მილენკო აჩიმოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია)
ჯონათან ბლონდელი (მუსკრონი, ბელგია)
რონ რიკეტსი (არსენალი)

**ბლექბერნი**

ნავიდნენ

კორადო გრაბი (მესინა, იტალია)
საიმონ გრეისონი (ბრედფორდი)
ჯეიმს ტომასი (ბრისტოლ როვერსი)
მარკ ჰიუზი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბენ ბურგესი (სტოკპორტი)

მოვიდნენ

მარკ სებასტიან პელცერი (ლაუტერნი, გერმანია)
ენდი ტოდი (ჩარლტონი)

**საუთჰემპტონი**

ნავიდნენ

სკოტ მაკდონალდი (პრესტონი)
დენი როდრიგესი (უოლსოლი)
სკოტ ბივენი (ჰადერსფილდი)
ჯაჩინტო ელა ეიენი (ერკულესი, ესპანეთი)
დან პეტრესკუ (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მოვიდნენ

მიხაელ სვენსონი (ტრუა, საფრანგეთი)
ჩუნ-სოო ლი (ულსან ჰიუნდაი, ს. კორეა)

**მიდლსბრო**

ნავიდნენ

ენტონი ორმეროდი (ჰარტლპული)
დინ გორდონი (ქოვენთრი)
პოლ ინსი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
მარლონ ბერესფორდი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბენიტო კარბონე (კომო, იტალია)
რობი მასტო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მოვიდნენ

მასიმო მაკარონე (ემპოლი, იტალია)
ჟუნინიო პაულისტა (ატლეტიკო, ესპანეთი)
ჯერემი ნჯიტაპი (რეალი, ესპანეთი)

**ფულემი**

ნავიდნენ

მარკუს ჰანემანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
პოლ ტროლოპი (ნორტჰემპტონი)

მოვიდნენ

მარტინ ერერა (ალავესი, ესპანეთი)
ფაკუნდო სავა (ხიმნასია, არგენტინა)
იუნიჩი ინამოტო (არსენალი)
მარტინ ჯეტუ (პარმა, იტალია)
ვიქტორ სიკორა (ვიტესი, ჰოლანდია)

**ჩარლტონი**

ნავიდნენ

გრეგ შილდსი (კილმარნოკი, შოტლანდია)
ენდი ტოდი (ბლექბერნი)
პოლ რაჩუბკა (ოლდემი)
ედი იუდსი (ჰადერსფილდი)

მოვიდნენ

პოლ რაჩუბკა (მანჩესტერ იუნ.)
კრის ბარტ-უილიამსი (ნოტინგემი)
გარი როუეტი (ლესტერი)

**ევერტონი**

ნავიდნენ

ალექს ნიარკო (მონაკო, საფრანგეთი)
იესპერ ბლომკვისტი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

მოვიდნენ

ლი ვეიფენგი (შენჟენ პინგანი, ჩინეთი)
ჟოზეფ იობო (მარსელი, საფრანგეთი)
ლი ტიე (ლიაონინგი, ჩინეთი)
რიჩარდ რაიტი (არსენალი)

**ბოლტონი**

ნავიდნენ

დინ ჰოლდენი (ოლდემი)
როდ უოლესი (ჯილინგემი)
კლივლენდ ტეილორი (ექსეტერი)
პოლ უიტკროფტი (სკანთორპი)
ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი, გერმანია)

მოვიდნენ

ბიულენთ აკინი (გალათასარაი, თურქეთი)
აუგუსტინ ოკოჩა (პსჟ, საფრანგეთი)
ტარიბო ვესტი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია)
ბერნარ მენდი (პსჟ, საფრანგეთი)
ჟოზე ლუიშ ჟუნიორი (ტრეზე, ბრაზილია)
დელრონ ფეისი (ჰადერსფილდი)
ბიულენთ ქორქმაზი (გალათასარაი, თურქეთი)

**სანდერლენდი**

ნავიდნენ

პატრიკ მბომა (პარმა, იტალია)

მოვიდნენ

პოლ ტრონტონი (ტრანმერი)
ფილ ბები (სპორტინგი, პორტუგალია)
თომას მირე (ბეშიქთაში, თურქეთი)
შონ ტორნტონი (ტრანმერი)

**მანჩესტერ სიტი**

ნავიდნენ

ტაირონ მორსი (პრესტონი)
ალიუნ ტურე (პსჟ, საფრანგეთი)
რიჩარდ ედჯილი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სილვენ დისტინი (პსჟ, საფრანგეთი)
ტერი კუკი (გრიმსბი)

მოვიდნენ

მარკ-ვივიენ ფოე (ლიონი, საფრანგეთი)
ნიკოლა ანელკა (პსჟ, საფრანგეთი)
მატიას ვუოსო (ინდეპენდიენტე, არგენტინა)
ტაირონ ლორანი (ვოლენდამი, ჰოლანდია)
მიკელ ბიშოფი (კოპენჰაგენი, დანია)
პიტერ შმაიხელი (ასტონ ვილა)
დისტინი (ნიუკასლი)

**ვესტ ბრომვიჩი**

ნავიდნენ

არავინ

მოვიდნენ

რონი უოლვორკი (მანჩესტერ იუნ.)
ჯო მერფი (ტრანმერი)
ლი მარშალი (ლესტერი)
შონ გრიგერი (პრესტონი)
მაკბეტ სიბაია (იომო კოსმოსი, ს. აფრიკა)

**ბირმინგემი**

ნავიდნენ

დელე ადებოლა (ოლდემი)
ტრევორ ტირნი (ფორესტ გრინი)
დენი სონერი (უოლსოლი)

მოვიდნენ

რობი სევიჯი (ლესტერი)
პიტერ აზერტონი (ბრედფორდი)
ალიუ სისე (პსჟ, საფრანგეთი)
ემანუელ ოლისადებე (პანათინაიკოსი, საბერძნეთი)
კენი კანინგემი (უიმბლდონი)

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). I ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21.30 | 001 | პადერბორნი-ჰამბურგი(მ) | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.00 | 002 | ბაბელსბერგი-ესენი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 17.00 | 003 | ქემნიცი-მიუნსტერი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 17.00 | 004 | დინამო-ვატენშაიდი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 17.00 | 005 | ურდინგენი-კილი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 17.00 | 006 | ლევერკუზენი(მ)-დორტმუნდი(მ) | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 17.00 | 007 | ოსნაბრიუკი-დრეზდენი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 17.00 | 008 | კიოლნი(მ)-აუე | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). I ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21.30 | 009 | შვაინფურტი-ნოინკირხენი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| 22.00 | 010 | ელვერსბერგი-ჰოფენჰაიმი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 22.00 | 011 | კიკერსი-უნტერჰახინგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 17.30 | 012 | აუგსბურგი-ოფენბახი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 17.30 | 013 | ფულენდორფი-აალენი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 17.30 | 014 | დარმშტადი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 015 | ზაარბრიუკენი-ვეჰენი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **ჩეხეთი. I ტური** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 17.25 | 018 | სიგმა-ლიბერეცი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 19.30 | 019 | ბლშანი-ჟიჟკოვი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 19.30 | 020 | ზლინი-ბანიკი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 19.30 | 021 | პრჟიბრამი-ბრნო | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 19.30 | 022 | ბოჰემიანსი-ბუდეიოვიცე | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 19.00 | 023 | ჰ. კრალოვე-სლავია | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,15 |
| | | **შვეიცარია. "ა" ჯგუფი. V ტური** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 024 | სტ.გალენი-ბაზელი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 22.30 | 025 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,5 | 1,25 | 1,2 |
| 22.30 | 026 | სერვეტი-ლუცერნი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 22.30 | 027 | იანგ ბოისი-აარაუ | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 19.15 | 028 | დელემონი-ვილი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| | | **შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. V ტური** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 22.30 | 030 | ვოლენი-ლოზანა | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,25 | 1,25 | 1,6 |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 031 | ვადუცი-შაფჰაუზენი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.30 | 032 | ივერდონი-სიონი | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 19.15 | 033 | ბელინცონა-ვინტერთური | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 19.15 | 034 | კრინსი-ბადენი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,9 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **დანია. I ტური** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 041 | სილკებორგი-ბრონდბიუ | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,25 | 1,25 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 18.00 | 042 | აკადემისკი-კოგე | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 |
| 18.00 | 043 | კოპენჰაგენი-ვიბორგი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 |
| 18.00 | 044 | ორჰუსი-ფარუმი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,75 |
| 18.00 | 045 | ესბიერგი-ოლბორგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 20.35 | 046 | ოდენსე-მიდტიულანდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| | | **რუსეთი. XVII ტური** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 058 | ცსკა-ლოკომოტივი | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,25 | 1,3 | 1,4 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 16.00 | 060 | ანჟი-შინიკი | 1,75 | 3,1 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 16.00 | 061 | როტორი-როსტსელმაში | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 16.00 | 062 | სოკოლი-ურალანი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 16.00 | 063 | დინამო-სატურნი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| | | **ნორვეგია. XVI ტური** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 071 | ლილესტრიომი-ბრინი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 21.00 | 072 | ოდ გრენლანდი-მოსი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| 21.00 | 073 | სოგნდალი-ვოლერენგა | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,35 |
| 21.00 | 074 | სტაბეკი-ბოდო გლიმტი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| 21.00 | 075 | ვიკინგი-მოლდე | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,25 | 1,25 | 1,6 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 076 | ლინი-რუსენბორგი | 2,7 | 3,3 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,35 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **სუპერთასი (კანში)** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 23.45 | 082 | ლიონი-ლორიანი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| | | **პოლონეთი. სუპერთასი** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 20.00 | 083 | ლეგია-ვისლა | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| | | **შვედეთი. თასის 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 22.00 | 085 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| | | **ფინეთი. თასის 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 20.30 | 086 | ჰაკა-ინტერი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,7 |

**ფორმულა 1. XII რბოლა. გერმანია**

**28 ივლისი (15.00)**

| | 5001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 5002 უსწრაფესი წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,7 | 5101 ------ 1,1 | 5201 ------ 1,05 | 2,2 |
| ბარიკელო | 3,6 | 5102 ------ 1,4 | 5202 ------- 1,2 | 3,0 |
| მონტოია | 4,7 | 5103 ------ 1,7 | 5203 ------- 1,3 | 3,4 |
| რ.შუმახერი | 8,0 | 5104 ------ 2,5 | 5204 ------- 1,3 | 7,0 |
| კულჰარდი | 10,0 | 5105 ------ 2,7 | 5205 ------- 1,3 | 8,0 |
| რაიკონენი | 15,0 | 5106 ------ 3,0 | 5206 ------- 1,5 | 10,0 |
| ბატონი | 75,0 | 5107 ---- 15,0 | 5207 ------- 2,5 | 100,0 |
| ტრული | 75,0 | 5108 ---- 15,0 | 5208 ------- 2,6 | 100,0 |
| ჰიდფელდი | 100,0 | 5109 ---- 25,0 | 5209 ------- 3,0 | 100,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ჩეხეთი. უმაღლესი ლიგა. 2001-02. I ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 27.07.02 | 17.25 | 018 | სიგმა V ლიბერეცი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 | - | 3:3 0:0 | 1:1 0:2 | 0:0 1:1 |
| 28.07.02 | 19.30 | 019 | ბლშანი V ჟიჟკოვი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 | - | 2:2 [illegible] | [illegible] | [illegible] 1:2 |
| 28.07.02 | 19.30 | 020 | ზლინი V ბანიკი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,35 | - | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 28.07.02 | 19.30 | 021 | პრჟიბრამი V ბრნო | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,1 | 1,25 | 1,7 | - | 1:2 1:2 | 3:0 0:0 | 0:0 1:2 |
| 28.07.02 | 19.30 | 022 | ბოჰემიანსი V ბუდეიოვიცე | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 | - | - | 1:0 4:3 | 0:1 2:1 |
| 29.07.02 | 19.00 | 023 | ჰრადეც კრალოვე V სლავია | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,15 | - | 0:4 0:0 | - | 0:1 0:3 |
| | | | იაბლონეცი V სინოტი | | | | | | | - | 0:0 1:2 | 1:1 1:0 | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპარტა პრაღა (2) | | 25.08 | | | | 20.10 | 15.09 | 03.11 | 17.11 | | | 11.08 | 29.09 | | | 1:0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 2 | სინოტი სტარე მესტო (11) | | | 29.09 | | 01.09 | | | 17.11 | 20.10 | 15.09 | | | 03.11 | | 04.08 | 18.08 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 3 | სლავია პრაღა (5) | 22.09 | | | 18.08 | | | 03.11 | 04.08 | 01.09 | 27.10 | 07.10 | | | | 17.11 | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 4 | ნისოუს იაბლონეცი (8) | 27.10 | : | | | | 25.08 | | 07.10 | | | 15.09 | 10.11 | 04.08 | | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 5 | ჩესკე ბუდეიოვიცე (ლ) | 04.08 | | 15.09 | 20.10 | | 29.09 | | | | | | 25.08 | | 17.11 | 03.11 | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 6 | ვიქტორია ჟიჟკოვი პრაღა (3) | | 07.10 | 10.11 | | | | | 18.08 | 04.08 | | 27.10 | | 22.09 | | 01.09 | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 7 | ხმელი ბლშანი (14) | | 10.11 | | 01.09 | 07.10 | : | | 22.09 | 18.08 | | | 27.10 | | 04.08 | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 8 | ბოჰემიანსი პრაღა (4) | | | | | : | | | | 29.09 | 11.08 | 25.08 | 15.09 | | | 20.10 | 10.11 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 9 | ზლინი (ლ) | | | | 11.08 | 27.10 | | | | | 10.11 | | : | | 25.08 | 22.09 | 07.10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 10 | ბობი ბრნო (9) | 01.09 | | | 17.11 | 18.08 | 03.11 | 29.09 | | | | 04.08 | | | 20.10 | | 22.09 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 11 | სლოვანი ლიბერეცი (1) | 18.08 | 11.08 | | | 22.09 | | 20.10 | | 03.11 | | | 29.09 | 17.11 | | | 01.09 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 12 | ბანიკი ოსტრავა (6) | | 22.09 | 20.10 | | | 17.11 | | | | 07.10 | | | 01.09 | 03.11 | 18.08 | 04.08 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 13 | დუკლა პრჟიბრამი (13) | | | 11.08 | | 10.11 | | 25.08 | 27.10 | 15.09 | : | | | | | 07.10 | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 14 | ჰრადეც კრალოვე (12) | 07.10 | 27.10 | : | 22.09 | | 11.08 | | 01.09 | | | 10.11 | | 18.08 | | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 15 | სიგმა ოლომოუცი (10) | 10.11 | | | 29.09 | | | 11.08 | | | 25.08 | : | | | 15.09 | | 27.10 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 16 | ტეპლიცე (7) | | | 25.08 | 03.11 | 11.08 | 15.09 | 17.11 | | | | | | 20.10 | 29.09 | | | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

# დანია. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. I ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 27.07.02 | 18.00 | 041 | სილკებორგი V ბრონდბი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,25 | 1,25 | - | 0:4 1:0 1:2 | 1:7 0:1 0:1 | 0:1 0:0 1:1 |
| 28.07.02 | 18.00 | 042 | აკადემისკი V კოგე | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 | - | - | - | - |
| 28.07.02 | 18.00 | 043 | კოპენჰაგენი V ვიბორგი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1 | 1,2 | 2,2 | - | 2:1 2:1 2:0 | 0:0 1:2 1:0 | 1:2 2:1 1:1 |
| 28.07.02 | 18.00 | 044 | ორჰუსი V ფარუმი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,15 | 1,2 | 1,75 | - | - | - | - |
| 28.07.02 | 18.00 | 045 | ესბიერგი V ოლბორგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 | - | 1:2 0:0 0:1 | - | 0:0 0:0 1:7 |
| 28.07.02 | 20.35 | 046 | ოდენსე V მიდტიულანდი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 | - | 0:2 2:1 1:0 | 1:2 1:2 1:1 | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფარუმი (ლ) | | 15.09 | 18.08 | | 29.09 | | | : 04.08 | 01.09 | | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 2 | კოგე (ლ) | | | | 08.09 | | 01.09 | : 04.08 | | | | 18.08 | 29.09 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 3 | ესბიერგი (7) | | 11.08 | | 25.08 | | | 08.09 | | 22.09 | | | : | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 4 | მიდტიულანდი (3) | | | | | | 15.09 | 18.08 | | | 29.09 | 01.09 | : 04.08 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 5 | ბრონდბი (1) | | | 01.09 | 22.09 | | | | 18.08 | 15.09 | : 04.08 | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 6 | ორჰუსი (10) | : | | : 04.08 | | 08.09 | | | 29.09 | 18.08 | | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 7 | კოპენჰაგენი (2) | 11.08 | | | | 25.08 | 22.09 | | : | | 15.09 | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 8 | ვიბორგი (8) | | 22.09 | 15.09 | 11.08 | | | | | | 01.09 | | 25.08 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 9 | ოდენსე (6) | | 25.08 | | : | | | 29.09 | | | | : 04.08 | 08.09 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 10 | აკადემისკი კოპენჰაგენი (5) | 08.09 | : | | | | 25.08 | | | 11.08 | | 22.09 | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 11 | სილკებორგი სილკებორგი (9) | 25.08 | | 29.09 | | : | 11.08 | | 08.09 | | | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 12 | ოლბორგი (4) | 22.09 | | | | 11.08 | | 01.09 | | | 18.08 | 15.09 | | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |


სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**


*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[b] კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| ზუგდიდი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| ცნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |



შაკილ ონილი მოედნის გარეთაც დაშინებს ხალხს

# ამან რომ კაცს დაარტყას...

## ამხელა შაკის ფიქრები: პოლიციელი ვიქნები

**მოდიდან** გადავარდნილი ნათქვამია — ყველა მდიდარს თავისი ახირება აქვსო. ჩვენ ასე ვთქვათ: მდიდარიც ადამიანია, ხოლო თითქმის ყველა ადამიანს აქვს თავისი ახირება. ეგაა, ფულიან ინდივიდთა უცნაური სურვილები ისევე მჭახედ გეცემა თვალში, როგორც მათი სიმდიდრე.

ცხადია, მდიდარი ინდივიდუმია შაკილ ონილი. მას საბანკო ანგარიშებზე ყოველწლიურად ოცი მილიონი ხელფასად შესდის, მინიმუმ ერთი ამდენიც რეკლამებით. შაკსაც აქვს ახირება, რომელსაც ახირებასაც ვერ დავარქმევთ, უფრო მოდაა და სახელის მოედნის გარეთ განთქმის სურვილია. ონილს უყვარს სიმღერის მშობლიურ-ზანგური ნაირსახეობა — რეპი და თავი რეპერადაც მოაქვს. მართალია, მისი ნაწარმოები ახალი სიტყვა არაა მუსიკაში და შაკმა უკვე დაიგდო უნიჭო კომპოზიტორის სახელი, მაგრამ ეს ხომ მისი მჩქეფარე ცხოვრების ირიბი და გასართობი დამატებაა. ასე რომ, მგონი, შაკს განსაკუთრებით არ უნდა აღიზიანებდეს მისი კომპოზიციების მუდმივად უარყოფითი კრიტიკა.

რაკილა შევთანხმდით, რომ რეპი შაკის ხუშტური კი არა, გატაცებაა, ახლა ახირებაზეც ვთქვათ. თურმე, ნუ იტყვით და, ზორბა ონილს გადაუწყვეტია, პოლიციელი გახდეს მას შემდეგ, რაც კალათბურთელის კარიერას დაასრულებს. ეტყობა, შაკი ბავშვობიდანვე თვალებანთებული უყურებდა ამერიკაში ყოველწლიურად ლამის ათეულობით გადაღებულ ფილმს გმირ და ყოვლისშემძლე პოლიციელებზე და ამერიკული, პოლიციამანიური კულტის გავლენის ქვეშაც მოქცეულა.

ქვეყნის უდიდესი გაზეთის USA TODAY-ის ცნობით, ონილი უკვე არის მეორე კლასის თადარიგის ოფიცერი. ასე რომ, შაკს აქვს უფლება, თავისი ახირება ყოველდღიურ ცხოვრებად აქციოს. იგივე გაზეთი ამბობს, რომ კარიერის დამთავრების შემდეგ ონილი მოეწყობა ლოს ანჯელესის სანაპიროს პატრულად, საპატრულო მანქანაში მეორე კაცი იქნება, რაკილა მისი გაბარიტების პატრონს ჩვეულებრივი ავტომობილის მართვა გაუჭირდება. მძღოლის გვერდზე სავარძელში კი ის როგორღაც ჩაეტევა და დამნაშავის ალმოჩენისას შეეცდება, მანქანიდან რაც შეიძლება სწრაფად გადაბობღდეს დასაბორკი ობიექტის წინ. ონილი ფასდაუდებელი თანამშრომელი იქნება ამერიკელი სამართალდამცავებისთვის, რადგან ამ 216-სანტიმეტრიანი კაცის, რომლიდანაც ორი ჩვეულებრივი პოლიციელი გამოიჭრება, დანახვისთანავე ახა, რომელი გაბედავს წესრიგის დამცველებთან ურჩობას?

ასე რომ, დადასტურდა ჩვენებური კალათბურთელის, ზაზა ფაჩულიას ნათქვამი „სარბიელთან“ ერთ-ერთ ინტერვიუში, შაკილ ონილი გაპოლიციელებას აპირებსო. ფაჩულია ამ ერთი თვის წინ ამერიკაში, ნბა-ს სხვადასხვა გუნდებში წინასადრაფტო ვარჯიშებზე იმყოფებოდა. ჩამოსულმა თქვა, „ლეიკერსთან“ ვარჯიშის შემდეგ საშხაპეში ერთი გოლიათი პოლიციელი შემომივარდა და ხელბორკილების და იარაღის ქლარუნით მომთხოვა, ჩავბარებოდიო. ფაჩულიას პოლიციის ქუდმუნდირის ქვეშ მალევე უცვნია შაკილი. ამ მაგალითიდანაც ჩანს, რამდენი შეიძლება ასარგებლოს შაკმა პოლიციას. მან სულ იოლად შეაკრთო 211-სანტიმეტრიანი ქართველი გოლიათი და ამერიკელ წვრილფეხობას ხომ სულ გულებს დაუხეთქავს.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

# გლენ რობინსონი ქალის ამბავში

## პოლიციამ ძაღლის ტყავი 5 ათასად დახია

**ცნობილი** მართლსაწინაალმდეგო ღამეული თავგადასავლების მიერ ალენ აივერსონი ძალოვანთაგან სრულად თავდახსნილად ჯერაც ვერ გრძნობს თავს და აგერ, კიდევ ერთი ფერადკანიანი ვარსკვლავი გაეხვა შარში. მიზეზი? ისევ ქალი და ისევ იარაღის ტრიალი.

„დიდ ძაღლად“ წოდებულ მილუოკელ ვარსკვლავ გლენ რობინსონის ახლობლებს კვირას ჩიკაგოს პოლიციაში 5 ათასი დოლარის ჩატანა მოუხდათ, რათა წინა დღით ყოფილი საცოლის სახლში ატეხილი ალიაქოთის გამო გაბაწრულ კალათბურთელს კვლავაც სუფთა ჰაერი ესუნთქა. მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა. რობინსონი თავდებითაა გაშვებული და 19 აგვისტოს სასამართლოში მისი საქმის წინასწარ განხილვაზე უნდა გამოცხადდეს. საქმე კი ერთობ სერიოზულია და ძალადობასთან ერთად იარაღის უკანონო ტარებაში შეიძლება დასდონ ბრალი.

შაბათ საღამოს გლენს გახსენებია, რომ ჩიკაგოს გარეუბანში ის ქალი ცხოვრობდა, ვისაც ერთ დროს ჰყვარობდა და ცოლადაც უნდოდა, ჰოდა, შეუვარდა. კიდეც კარს მიმდგარი „დიდი ძაღლი“ დიაცს შინ არ შეუშვია, რამაც „ძაღლი“ ერთობ გააავა. რობინსონმა კარები შელეწა და ქალს საქმის გარჩევა დაუწყო, ბოლოს ცემაც დაუპირა, მაგრამ პოლიციამ მოუსწრო და გამოსაფხიზლებელში მიაბრძანა. ჯიბეები რომ მოუსინჯეს, კალათბურთელს პისტოლეტი აღმოაჩნდა. როგორც ამ საქმის გამომძიებელი, ქალბატონი მერსი ობოილი ამბობს, რობინსონს თურმე მოუსწრია და ქალს ხელით შეხებია, ამიტომ მილუოკელი საკადრისადაც დაისჯება. თავად რობინსონი კი, რომელიც 1994 წელს „მილუოკიმ“ დრაფტზე პირველ ნომრად აიყვანა და მაშინვე 10-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა, მომხდარზე ძალიან წუხს. ოჯახ-ნათესაობისთვის მიყენებულ წყენაზე არანაკლებ „დიდი ძაღლი“ „ხარ-ირემთა“, ანუ „მილუოკი ბაქსის“ პრესტიჟზე ფიქრობს. ამბობს, ყველაფრისთვის მზადა ვარ, ოღონდ ეს ამბავი მშვიდობით მოგვარდესო. თავის მხრივ, არც მილუოკელებმა აქციეს ზურგი თავიანთ ლიდერს. კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ერნი გრუნფელდმა თქვა, რაც უნდა იყოს, რობინსონს გვერდით დავუდგებითო.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ სულ ახლახან იყო, ნბა-ს კიდევ ერთი რობინსონი, იმ ჯერზე კლიფი, მარიხუანას წევისა და მანქანის ასე ჯირითის გამო ძლივს რომ დაუძვრა პოლიციელებს.

**ირაკლი ბერტაია**



„დიდი ძაღლი“ გლენ რობინსონი აქეთ დგაბინეს

# როდმანს ჯიბგარი და რესტორანი დაეწვა



მასალა საშოვნელია, ავეჯი შესაცვლელია, საქონელი შემოსატანია... დენის როდმანს საფიქრალი მოსძალებია

**რაც** არ გერგება, არ შეგერგებაო არა, მაგრამ დაახლოებით ამგვარს ჩაილაპარაკებდნენ გადასახადების პირნათლად გადამხდელი და კანონმორჩილი ამერიკელები ყოფილ ჯადო მომხსნელ დენის როდმანის რესტორან-დისკოთეკის გადაწვის ამბავს რომ გაიგებდნენ. კვირას ნბა-ს ხუგზის ჩემპიონ როდმანს ლივლივა წყნარი ოკეანის სანაპიროზე გაწოლილ შარაგზაზე დასალევ-საცეკვაო დაწესებულება, სახელად „ჯოშ სლოკამი“, დღის ორ საათზე გაჩენილმა ხანძარმა თითქმის ერთიანად დაუნახშირა.

საქმეში ჩაუხედავი კაცი იფიქრებს, ასეთი რა დააშავა როდმანმა, ჭკუის სასწავლებელ ანდაზებს რომ „უძღვნითო“. საქმე ისაა, რომ ოდესღაც ნბა-ს ფართა მპყრობელი იანვარში სწორედ „ჯოშ სლოკამში“ გაჩაღებული უკანონო ვაჭრობისთვის იყო დაპატიმრებული. გამოძიებამ მაშინ საბოლოოდ ვერ დაუმტკიცა როდმანს, რომ მისი „დუქანი“ ღამის 2 საათის შემდეგ ალკოჰოლური სასმელების გაყიდვაზე დაწესებულ ლიმიტს არად აგდებდა. არადა, ყოფილი ვარსკვლავის დისკოთეკაზე მუდამ ირეოდა უამრავი მობანცალე ხალხი და ეჭვი არ იყო, მობახუსეთ მასპინძლობას როდმანის რესტორანი უწევდა.

ერთი სიტყვით, „ჯოშ სლოკამში“ ლხენას შეჩვეულ ხალხს სხვა საგანდაგანო ალაგის ძებნა მოუწევს, ოღონდ იქ სარელაქსაციო სითხის ონკანი დათქმულ დროს დაეკეტებათ.

პოლიციამ კი გამოიძია და განაცხადა, მომხდარში საეჭვოს ვერაფერს ვხედავთ, ხანძრის მიზეზი გაუმართავი ელექტრობააო.

ეტყობა, მორიგი ღრეობის შემდეგ მავან მთვრალს რალაცის გამორთვა დაავიწყდა და...

**ირაკლი ბერტაია**

# გოლდენ სტეიტი გამუსლიმანდა

**ბევრი** ეძებს თუ ცოტა, გოლდენსტეიტელი „მეომრების“ ხელმძღვანელებმა როგორც იქნა, სარდალი იპოვეს. „ვორიორზის“ ახალი თავკაცი არც ცნობილი და ამჟამად უსაქმოდ მყოფი სპეციალისტი მაიკ დანლივია და არც ყოფილი დროებითი მწვრთნელი ბრაიან ვინტერსი. ის გახლავთ უწინ „ატლანტას“ მეორე მწვრთნელი ერიკ მუსელმანი.

მუსელმანს არასდროს ებარა ნბა-ს გუნდი და ასაკიც ვეტერანი მოთამაშისა უფრო აქვს, ვიდრე მწვრთნელის — 37 წლისაა, მაგრამ ლამის 20 წლიდან სამწვრთნელო სამზარეულოში ტრიალებს, ეტყობა, ამ საქმისა რაღაც გაეგება და „გოლდენ სტეიტის“ გენერალურმა მენეჯერმა გარი სენტ ჟანმაც ის მომზადებულად ჩათვალა.

ერიკ მუსელმანი მწვრთნელის, „მინესოტას“ უწინდელ თავკაც ბილ მუსელმანის შვილია, ეტყობა, კალათბურთის ტაქტიკა-სქემათა მოხაზვის მოსმენაში გაიზარდა და ახლა თავად დახაზავს ბრძოლის სქემებს წყალწაღებული „მეომრებისთვის“. „ვორიორზი“ რვა წელია, უპლეიოფოდ ასრულებს რეგულარულ სეზონებს. მუსელმანს საში წელი მიეცემა კლუბისთვის ამ ისტორიული კრიზისის დასაძლევად. მაგრამ არც ის გაუკვირდება ვინმეს, თუ მუსელმანს ორიოდ თვეში ააყენებენ მწვრთნელის სავარძლიდან. იგი „მეომრების“ მერვე სარდალია ბოლო შვიდ წელიწადში. დადასტურებული ეჭვია, რომ „მეომართა“ ცხრილის ფსკერის მხეხავებად ჩამოყალიბება კლუბის მამათა უსუსური პოლიტიკის შედეგი უფროა, ვიდრე მწვრთნელთა მოუხერხებლობის. ამის გამოცაა, რომ ამ გუნდს ძლიერი სპეციალისტები ნაკლებად ეტანებიან. მაიკ დანლივიმ „ვორიორზის“ გაწვრთნაზე მანამ თქვა უარი, ვიდრე ამ სამუშაოს შესთავაზებდნენ და მიზეზად საკუთარი შვილი მაიკ დანლივი უმცროსი დაასახელა. უმცროსი დანლივი „გოლდენ სტეიტმა“ წლეულს დრაფტში აიყვანა და მამამისს უთქვამს, შვილის და მისი ძმაკაცების გაწვრთნა გამიჭირდებაო. უარის მიზეზად შვილის დასახელება უფროსი დანლივისთვის საბაბი უნდა იყოს. აშკარაა, ამ უსახური გუნდის გამო ნერვების წეწვის პერსპექტივა არ ხიბლავს.



მიილაგნება პელოტონი, დათრგუნული და ბედს შერიგებული...

ტურ დე ფრანსი 2002

# მოვდივარ, დამხვდით პარიზში!



ლენს არმსტრონგი მოდის და გამჩერებელი კაცი არ ჩანს




**ეს იყო** ყველაზე რთული ეტაპი და ალბათ ბოლო შანსი იმისა, რომ ბელოკის ან იქნებ რუმსასს ოდნავ მაინც შეერყიათ არმსტრონგის სულ უფრო მზარდი და არგუმენტირებული პრეტენზიები ტიტულის მეოთხედ მოპოვებისა.

სამი უმაღლესი კატეგორიის მთა და ას ოთხმოცი კილომეტრი.

კალიბიერი ზღვის დონიდან 2545 მეტრზეა. მიუხედავად იმისა, რომ უღელტეხილი მასპინძლისთვის შეუფერებელი უხასიათობით გამოირჩევა, ორ წელიწადში ერთხელ მაინც ტური აუცილებლად შეუვლის ხოლმე. სხვა საქმეა, რომ სტუმართმოყვარეობა ძირითადად ნისლით, წვიმითა და არც თუ იშვიათად თოვლითაც გამოიხატება. უჟანგბადობა ხომ ამ უღელტეხილის ტრადიციული დელიკატესია.

არც მეორე, 2000 მეტრიანი მადლენია მამა აბრამის ბატკანი. 20 კილომეტრიანი აღმართი ვისაც გნებავთ, იმას გააცლის სიქას. და ბოლოს, ლა პლანი, 1900 მეტრი და 17 კილომეტრი.

ამ ეტაპზე — კალიბიერით, მადლენით და სხვა, ოღონდ კიდევ უფრო რთული ფინიშით — არმსტრონგი ერთხელ უკვე დაამარცხეს. დაამარცხეს თავის განუყრელ გრეგარ ერასთან ერთად. ეს იყო შარშანწინ. წელიწადნახევრის უვარჯიშებელ მარკო პანტანის ის-ის იყო მოუხსნეს მორიგი სანქციები. „პირატი" გზადაგზა, პირდაპირ ტურ დე ფრანსის ეტაპებზე იბრუნებდა სპორტულ ფორმას. დუელი მონ ვენტუზე პანტანის მცირე უპირატესობით დასრულდა, ხსენებულ ეტაპზე კი წუთი მოუგო მომავალ ჩემპიონს.

თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ იყო. მარკო პანტანის ბოლო ორი წელიწადია, აღარ იწვევენ ტურზე — აქაოდა, სუსტი გუნდი გყავსო, სამწუხაროდ, იან ულრიხსაც მაინცდამაინც ივლისის პირზე მოუნდება ხოლმე ტრავმის აკიდება, დანარჩენები კი...

„ონსე" და „კელმე" ამაყი ესპანური გრანდებიდან მორჩილ გუნდებად იქცნენ. მკითხველი არ უნდა შეაცდინოს ამერიკელსა და მის ორ მდევარს — ბელოკისა და რუმსას შორის მართალია, ჩემპიონობისთვის სავსებით საკმარისმა, მაგრამ არც ისე შთამბეჭდავმა სხვაობამ. გაუთავებელმა გამარჯვებებმა ბარშიც და მთაშიც (ვიღაც-ვიღაცეების პელოტონიდან გაქცევა და ეტაპის მოგება, ცხადია, სათვალავში ჩასაგდები არ არის) საბოლოოდ დათრგუნა მთელი პელოტონი. შეიქმნა კიდევ ერთი, არმსტრონგის დაუმარცხებლობის მითი.

ეს ეტაპი მართლაც ბოლო შანსი იყო საიმისოდ, რათა ამერიკელის კონკურენტებს უკანასკნელად ეცადათ რალაც შეეცვალათ. თუ ვერ დაამარცხებდნენ, შეეფიქრიანებინათ, შეეფუცხუნებინათ მაინც.

შენც არ მომიკვდე. ბოლო 17-კილომეტრიან აღმართზე ბელოკიც, რუმსასიცა და სხვებიც ცხვრის ფარასავით მისდევდნენ ახალგამომცხვარ უზურპატორს. იქამდე, სანამ თავად პატრონმა არ ინება ფეხის აჩქარება. ფეხის აჩქარება კი გაურჩებული ბელგიელი ბოგარდის დასასჯელად დასჭირდა ამერიკელს.

ეს არის და ეს. თუ ახლა სადმე, მოსახვევში, გზის პირას დაგდებული ლოდი არ გაცოცხლდა და პირდაპირ ფეხებში არ ეცა ტურის ლიდერს, ნათელზე ნათელია, ვინ გახსნის შამპანურს ტრიუმფალურ თაღთან.

„თაღთან" დასმული წერტილი წესითა და რიგით, ამ წერილისთვისაც ბოლო წერტილად უნდა იქცეს, მაგრამ რას ვერჩით ქერათმიან ბელგიელ სპორტსმენს, რომელმაც, ყოველ შემთხვევაში, ჩემს პრაქტიკაში მაინც, პირველად მარტომ გადაიარა ორი უმაღლესი კატეგორიის უღელტეხილი და...

ქერათმიანი ბელგიელი კალიბიერთან დაწინაურებულ მცირერიცხოვან ჯგუფს შეუერთდა. გასაგები იყო, რისთვის დაიწყეს შეტევა ჟალაბერმა და ბოტერომ, მაგრამ, მართალი გითხრათ, ძნელი მისახვედრი იყო, რა ამოძრავებდათ დანარჩენებს. შეტევა კალიბიერზე, როცა წინ 150 კილომეტრი, მადლენი და პლანია?!

უღელტეხილზე ჟალაბერმა და ბოტერომ ნანატრი ქულები ჩაიჯიბეს და დამშვიდებულებმა განაგრძეს გზა. თავქვე დაშვებისას მიხაელ ბოგარდმა კალიბიერის შვილობილ უღელტეხილზე, ტელეგრაფზე ასასვლელი მცირე აღმართით ისარგებლა და ახალი იერიში წამოიწყო. ჟალაბერს არც უცდია გამოკიდება — ბოგარდი მთის მეფის ტიტულისთვის ბრძოლაში მისი კონკურენტი არ იყო. არც პელოტონს აუჩქარებია ნაბიჯი — კლდე-ღრეებში თავაწყვეტილი ქროლვა არც ლენს არმსტრონგის გეგმებში შედიოდა. უნდოდა თუ არ უნდოდა, ბელგიელს მარტოს უნდა გაევლო მთელი გზა.

სენ მარტინთან, მადლენის ძირში, ბოგარდი ჟალაბერის ჯგუფს წუთზე ოდნავ მეტს უგებდა, პელოტონს კი — ხუთს.

კიდევ უფრო გაიზარდა სხვაობა უღელტეხილის გადალახვის შემდეგ. შესაბამისად +3 და +7 წუთი.

ახლაღა მიხვდა ყველა, რომ ამ ბიჭს ეტაპის მოგება სურდა. ჟალაბერისთვის სულ ერთი იყო, პელოტონში კი ალბათ ირონიულად ჩაიცინეს.

ბელგიელის განზრახვის უსაფუძვლობა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, არარად ჩაგდება, დიდხანს გრძელდებოდა. იქამდე, სანამ არმსტრონგს და პელოტონს მთის წვერომდე 4 კილომეტრიღა დარჩა. ამ მომენტისთვის ბოგარდი 1 კილომეტრით იყო წინ. ასეთი აღმართისთვის ეს დაახლოებით 3 წუთის სავალია. ელემენტარული გათვლითაც კი ცხადი იყო, რომ ამერიკელმა დაავგიანა იერიში.

რაც მართალია, მართალია. საოცრად ეფექტური იყო შეტევა. არმსტრონგი უცებ მოწყდა ადგილს და თავისსა და კონკურენტებს შორის უზარმაზარი უფსკრული გააჩინა. იმათ, კონკურენტებს ვგულისხმობ, არც უცდიათ გამოდევნება, აზრი არ ჰქონდა. ისე სწრაფად მცირდებოდა მანძილი მდევარსა და დევნილს შორის, კაცი იფიქრებდა, არმსტრონგს უხილავი თოკით ჰყავს დაბმული ბოგარდი და თავისკენ ეწევაო. მაგრამ ის, რაც შეუძლებელია, შეუძლებელი აღმოჩნდა ჩემპიონისთვისაც — როცა არმსტრონგი ბოლოს და ბოლოს ქედზე მოექცა ლა პლანს, იქ ყველაფერი მოთავებული იყო: უხილავ რეჟისორს მკაცრი ალპების ფონზე საოცრად სენტიმენტალური კადრი გაეჩერებინა — ქერათმიანი ათლეტის მკერდზე სიხარულის ცრემლებს ღვრიდა ქერათმიანივე ქალი. როგორც მერე გაირკვა, იმდღევანდელი გმირის სასიდედრო.

**ირაკლი ბერიაშვილი**



მიხაელ ბოგარდი

## ტექნიკური შედეგები

| მე-16 ეტაპი. ლე დუ ალპი — ლა პლანი. 179,5 კმ | |
|---|---|
| 1. მიხაელ ბოგარდი („რაბობანკი", ჰოლანდია) | 5 სთ 48 წთ 29 წმ |
| 2. კარლოს სასტრე (CSC ტისკალი, ესპანეთი) | +1 წთ 25 წმ |
| 3. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | +1 წთ 25 წმ |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | 68 სთ 43 წთ 22 წმ |
| 2. ხოსება ბელოკი („ონსე", ესპანეთი) | +5 წთ 06 წმ |
| 3. რაიმონდს რუმსასი („ლამპრე", ლიტვა) | +7 წთ 24 წმ |
| **მთის მეფე** | |
| 1. ლორან ჟალაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) | 238 ქულა |
| 2. სანტიაგო ბოტერო („კელმე", კოლუმბია) | 160 |
| 3. ლენს არმსტრონგი (US პოსტალი, აშშ) | 152 |
| **საუკეთესო სპრინტერი** | |
| 1. რობი მაკივენი („ლოტო", ავსტრალია) | 229 ქულა |
| 2. ერიკ ზაბელი („ტელეკომი", გერმანია) | 229 |
| 3. სტიუარტ ოგრეიდი („კრედიტ აგრიკოლი", ავსტრალია) | 180 |
| **საუკეთესო ახალგაზრდა** | |
| 1. ივან ბასო („ფასო", იტალია) | 68 სთ 58 წთ 26 წმ |
| 2. ნიკოლას ვოგონდი (FDS, საფრანგეთი) | +10 წთ 54 წმ |
| 3. აიმარ სუბელდია („ეუსკალტელი", ესპანეთი) | +44 წთ 13 წმ |
| **ყველაზე აქტიური მრბოლი** | |
| 1. ლორან ჟალაბერი (CSC ტისკალი, საფრანგეთი) | 97 ქულა |
| 2. ფრანკ რენიე („ბონჟური", საფრანგეთი) | 50 |
| 3. მიხაელ ბოგარდი („რაბობანკი", ჰოლანდია) | 33 |



ლინდსი დევენპორტი

# როლანგაროსული რევანშის მოლოდინში

**ავსტრიის ღია პირველობა**
კიცბიუელი. თიხნარი
საპრიზო 880 ათასი $

**მეორე წრე**

**ალბერტ კოსტა** (1, ესპანეთი) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 6:1, 6:3; **ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:4, 6:4; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — გილერმო კანასი (3, არგენტინა) 6:4, 5:7, 6:3; **ანდრეი პაველი** (4, რუმინეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:4, 6:2; **გასტონ გაუდიო** (6, არგენტინა) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 6:3, 6:4; **ჟან რენე ლისნარი** (საფრანგეთი) — მარსელო რიოსი (9, ჩილე) 7:6, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (10, არგენტინა) — გილერმო კორია (არგენტინა) 2:6, 6:2, 7:6 (7:2); **შტეფან კუბეკი** (11, ავსტრია) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:2, 6:3; **მარიანო საბალეტა** (12, არგენტინა) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:7 (3:7), 6:3, 6:4; **ანდრე სა** (ბრაზილია) — აგუსტინ კალერი (13, არგენტინა) 7:6 (7:5), 6:1; **მარკუს ჰიპფლი** (ავსტრია) — ჟულიენ ბუტე (15, საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:2

ყველაფერი ეგრე თუ გაგრძელდა, ვინძლო, წლევანდელი როლანგაროსული ფინალი ხელახლა ვიხილოთ — ცხადია, ტიროლის ცისქვეშ. ყოველ შემთხვევაში, ორივე იქაურმა ფინალისტმა, გამარჯვებულმა ალბერტ კოსტამაც და დამარცხებულმა ხუან კარლოს ფერერომაც პირველმატჩები ალმაფრენით ჩაატარა და, რაკილა ერთს ტურნირის უმთავრესი ჩოგანი უპყრია ხელთ, მეორეს კი — მისმომდევნო, ფინალამდე ერთმანეთს ვერ შეხვდებიან.

კოსტა კიცბიუელის სამგზის პირველოსანია — იქაური თიხნარი მას 1995, 1998 და 1999 წლებში ურბევია, ხოლო შარშან ფინალამდე იროგნავა და იქ ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტისთან დათმო. უკეთუ გაპირველებას იგი წლეულსაც მოახერხებს, მაშინ ლეგენდარული არგენტინელის გილერმო ვილასის შემდეგ პირველი გახდება, ვისაც ეს საქმე ოთხჯერ გამოსვლია. ვნახოთ, ყველანაირად ვეცდები, მაგრამ ამის გაკეთება ძალიან ძნელი იქნებაო, უთქვამს იმ დღეს.

კოსტარიკელი ნაკვალიფიკაციევი ბიჭის, მარინის მოსაგებად და 24 მატჩში 22-ე კიცბიულერული გამარჯვების მისათვლელად კი საათზე ფიორით მეტი დრო დასჭირდა. ოღონდ, ეგ შეხვედრა ისეთი ადვილი არ იყო, როგორც ანგარიშიდან ჩანსო, ნამატჩევს ასე დასძინდა.

ფერერომ კი — როგორც ეს გუშინვე გაუწყეთ — ირაკლი ლაბაძეს აჯობა და ახლა ფინალისკენ სავალ გზაზე დარჩენილ მეჩოგნეთაგან, რუმინელ ანდრეი პაველის (4) გარდა, ყველასთან უკეთეს პირად ბალანსს მოიძევს.

„კარგად ვთამაშობ და თავსაც საუცხოოდ ვგრძნობ — იძახდა იმ დღეს — ბოლო კვირა მაგრად მოვემზადე და ტურნირის მოგების მეტი სხვა არაფერი დამაკმაყოფილებს“.

ამათგან განსხვავებით წაიფორხილა და ჩილელ ნიკოლას მასუს, ბუენოს აირესის წლევანდელ მაოხარს დანებდა მესამე ნომრად განთესილი არგენტინელი გილერმო კანასი. კანასს კიდევ სამი განთესილი — ჩილელი მარსელო რიოსი (9), არგენტინელივე აგუსტინ კალერი (13) და ფრანგი ჟულიენ ბუტე (15) მიჰყვა.

მერე კი იყო შიდაარგენტინული განდაგანა წინა კვირას ამერსფოორტულ ფინალში კოსტასმძლეველ ჩელასა და გილერმო კორიას შორის, რაიც პირველის გამარჯვებით დასრულდა, და კიდევ — ადგილობრივ ქომაგთა ფალავნის, შტეფან კუბეკის მიერ რუმინელი ვოინეას ოტება.

ავსტრიელებს ეიმედებათ, რომ კუბეკი იქაური თასის იქავე დატოვებას შეძლებს. ასეთი რამ ბოლოჯერ ტომას მუსტერმა მოახერხა — ეგებ გახსოვდეთ და, არც ისე შორეულ 1993-ში!

**მერსედეს-ბენცის თასი**
ლოს ანჯელესი. ჰარდი
საპრიზო 400 ათასი $

**მეორე წრე**

**მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — სებასტიან გროჟანი (3, საფრანგეთი) 6:3, 3:6, 7:6 (6:3); **ენდი როდიკი** (4, აშშ) — ბრაიან ვაჰალი (აშშ) 7:5, 6:4; **ქსავიე მალისი** (7, ბელგია) — ტეილორ დენტი (აშშ) 6:1, 4:6, 6:4; **მაქს მირნი** (8, ბელარუსი) — პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) 7:6 (7:3), 6:4

ფრანგ მიშელ ლოდრას ზეათეულის წარმომადგენლებთან ადრე ექვსჯერ ეთამაშა და ექვსჯერვე დამარცხებულიყო. სებასტიან გროჟანი (3), რომელიც მან გუშინ აბარგა, მართალია, ამჟამად ზეათეულში არ ირიცხება, მაგრამ ამ ალაგისგან არც ისე დაშორებულ მსოფლიოს მე-11 ჩოგანს აჭევს. მსოფლიოში 101-ე ლოდრას კი ოდესმე არც №11-ისთვის მოუგია.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მოულოდნელობით დაწყებული ტურნირი — პირველ დღეს რუსამერიკელმა ალექს ბოგომოლოვმა პირველ ნომრად განთესილი ტომი ჰაასი დაიფრინა — მოულოდნელადვე გაგრძელდა.

„სხვა ფრანგი ჩოგბურთელებისგან განსხვავებით ის ბადესთან მიძალებას არჩევს. მასთან პაექრობა ამიტომაც გამიჭირდა“ — იმართლებოდა ნამატჩევს გროჟანი.

ლოდრა კი „კარიერის უდიდეს გამარჯვებაზე“ საუბრობდა და წარმატებას უფრო აგრესიული, შემტევი თამაშით ხსნიდა.

მომდევნო წრეში იგი ბელარუს მაქს მირნის შეხვდება. „ცხოველმა“ — და ეს მაქსის თიკუნი გახლავთ, თავისი მეოთხე საამსეზონო მეოთხედფინალის საგზური ტაილანდელი შრიჩაფანის ძლევით მოიპოვა.

სხვათა შორის, ჰამბურგის მასტერსტურნირის ნახევარფინალში წაგების შემდეგ ბელარუსს სამ ტურნირზე ეთამაშა და სამშივე პირველი წრიდან გავდოთ.

**პოლონეთის ღია პირველობა**
სოპოტი. თიხნარი

**მეორე წრე**

**ვაჟები**
საპრიზო 381 ათასი $

**კარლოს მოია** (2, ესპანეთი) — ანდრეი სტოლიაროვი (რუსეთი) 6:4, 6:1; **კრისტოფ როშუ** (ბელგია) — ფაბრის სანტორო (3, საფრანგეთი) 4:6, 6:3, 7:5; **სტეფანო გალვანი** (იტალია) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:4, 6:1

**ქალები**
საპრიზო 300 ათასი $

**ბარბარა რიტნერი** (გერმანია) — სილვია ფარინა ელია (1, იტალია) 6:4, 2:6, 6:3; **დინარა საფინა** (რუსეთი) — პატი შნიდერი (2, შვეიცარია) 6:1, 6:1; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (3, ესპანეთი) — მარია გოლოვიზნინა (რუსეთი) 7:5, 6:4; **ვირხინია რუანო-პასკუალი** (ესპანეთი) — მარტინა სუხა (4, სლოვაკეთი) 6:4, 6:3; **ჰენრიეტა ნაგიოვა** (6, სლოვაკეთი) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:4, 6:2

კარლოს მოიას საარაკო ივლისური თავგადასავალი ისევ გრძელდება. მის ჩანთაში უკვე ბასტადური და უმაგური ტიტულები და ზედიზედ მოგებული თორმეტი შეხვედრაა. გაიზრდება თუ არა ამ შეხვედრათა სერია თხუთმეტამდე და შეივსება თუ არა მისი საამთვეო ტიტულმარაგი სოპოტური ჯილდოთი, ამას სამიოდე დღეში შევიტყობთ.

მანამდე კი — 25 წლის ესპანელმა რუს სტოლიაროვს ჩოგნის აუკანკალებლად გადაუარა. თუმცა ერთ მომენტში საქნევი შემთხვევით მარცხენა იდაყვზეც მოირტყა და ნამატჩევს წამოიტკიებდა კიდეც. ძალიან არ მაწუხებს, მაგრამ მაინცო, ამბობდა. ისე კი, დავილალეო, მერე ასეც დასძინდა.

ვნახოთ. მომდევნო წრეში მას იტალიელი სტეფანო გალვანი დაუპირისპირდება, კაცი, რომელმაც ვეტერანი შვეიცარიელის, მარკ როსეს ძლევით კარიერის პირველ მეოთხედფინალს უწია.

დღის (და ჯერჯერობით ტურნირის) უმთავრესი მოულოდნელობა კი მესამე ნომრად განთესილი ფრანგის, ფაბრის სანტოროს გაბუნძურება გახლდათ. იგი 23 წლის ბელგიელმა კრისტოფ როშუმ დაჩოგნა.

რაც შეეხება ქალთა მხარეს, აქ ერთდროულად დაამხეს ტურნირის განთესილთა ზეოთხეულის სამი წარმომადგენელი — სილვია ფარინა ელია (1), პატი შნიდერი (2) და მარტინა სუხა (4). საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ ამათგანს, სახელდობრ კი შვეიცარიელ შნიდერს მარატ საფინის უმცროსმა დაიკომ, მომხიბლავმა დინარამ აჯობა.

იმედია, დინარა კიდევ არაერთხელ მოგვცემს საშუალებას, კიდევ უფრო მეტი დავწეროთ მასზე.

**BANK OF THE WEST CLASSIC**
სტენფორდი. ჰარდი
საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 6:3, 6:0; **მონიკა სელეში** (3, აშშ) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:4, 3:6, 6:1; **ელენა დოკიჩი** (5, იუგოსლავია) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 1:6, 6:0, 6:1

ლინდსი დევენპორტის თამაშის შემხედვარე ვერავინ იფიქრებს, თითქოს ეს მოსული გოგოცუნა ცხრა თვის განმავლობაში უკორტოდ იყო, ხოლო იანვარში მუხლზე იოპერაციავა. ლინდსი რიგიან ფორმაშია, ჩვეულ-ბარაქიანად ხათქა-ხუთქობს და მსოფლიოს 21-ე ჩოგნის, ლუქსემბურგელი ანე კრემერის გასახდელში გასაშვებად იმ დღეს სულ რაღაც 45 წუთი დასჭირდა.

„კორტზე დაბრუნება ასე არასოდეს გამხარებია — ამბობენ მერე — ერთიორჯერ ცრემლებიც კი წამომდინდა, ისეთ ბედნიერებას ვგრძნობდი“.

ვინმეს თუ არ ახსოვს, შევახსენებთ: მუხლი მან შარშან ნოემბერში, მიუნხენში მიმდინარე „სანექს ჩემპიონშიპსის“ დროს დაიშავა. ორი თვის მერე დასტაქრებს გაუწვა და, სანამ ყავარჯნებს შეელეოდა, ხელთ უქმობის კიდევ ცხრა კვირა შემოაღნა.

2001 წელი მან რეიტინგსიის კენწეროში გაასრულა, მაგრამ იძულებითმა დასვენებამ საამჟამინდლო მეცხრე ადგილზე ჩაასრიალა.

26 წლისას დღემდე 37 ტიტული მოუგია, აქედან სამი — სლემტურნირებზე. მის ტიტულმაგარს ერთი ოლიმპიური ოქროს ამშვენებს.

თავისი ნაავადარი ფორმით სავსებით კმაყოფილი, ცხადია, ვერაა, მაგრამ ქომაგს ყოველ მატჩში მაინც ფიცხელ ბრძოლას ჰპირდება.

„ჩემი უმთავრესი ამოცანა ჯერ-ჯერობით სასეზონო რიტმთან ხელახალი გაჩვევა და სასურველი ფორმის თანდათანი აღდგენა იქნება, უმაღლესი მიზნებისთვის გადავებას მხოლოდ სეზონის ბოლოს ან ახალსეზონის დამდეგს გავბედავ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სადმე რამე იოლად დავთმო“.

დათმობა-არდათმობის პრობლემა კი მთელი სიმძაფრით მას უახლოეს შეხვედრაშივე შეაურვებს, რაკილა მისი მეტოქე დიდ წარმატებებს მოწყურებული სექსგოგო, ელენა დოკიჩი იქნება, ვინაც იმ დღესვე — სხვათა შორის — ესპანელ კონჩიტა მარტინესს გაუსწორდა.

**ლევან ძელაურაძე**



მიშელ ლოდრა



მარსელო რიოსი



# აშვეთია ელიტარული გახდა

**ფრანგული** ელიტარული ლიგის ბობოლას, „მონფერანს“ კიდევ ერთი ქართველი, დავით აშვეთია შეემატა. მანამდე „მონფერანში“ ბორჯღალოსანთა კაპიტანი ლევან ცაბაძე გადავიდა „კასტრიდან“.

27 წლის აშვეთია შერკინების ბურჯია. ახალ კლუბთან მან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მანამდე აშვეთია ქუთაისის „აიაში“, ბათუმის „დათვებსა“ და ფრანგულ „ნიმში“ თამაშობდა. ამ ორი მონფერანელის გარდა ფრანგულ ელიტაში კიდევ ოთხი ქართველი მორაგბეა — მევლუდ მთიულიშვილი, გოდერძი შველიძე, ვანო ნადირაძე და ტარიელ რატიანიძე ტიტულოვან „ბეზიეში“ ირიცხებიან.

**ბაჩო სვანიძე**

# რუმინელებმა შემოაკვდას აპატიეს

**რუმინეთის** რაგბის კავშირმა ერთ დროს ყველაზე პერსპექტიულ მორაგბედ მიჩნეული 25 წლის მორკინალი კოსტიცა მერსოიუ ნაკრებში დააბრუნა.

თითქოს აქ უჩვეულო არაფერია, მაგრამ აი, თურმე რა ყოფილა: მერსოიუ ახლახან გამოვიდა ციხიდან, სადაც სასჯელს მკვლელობისთვის იხდიდა.

ყველაფერი ასე მომხდარა: შინ დაბრუნებული მერსოიუ ცხოვრებისეულ დრამას შეესწრო. დედამისს ლოთი საყვარელი სცემდა. 190-სანტიმეტრიანმა და 104-კილოიანმა ჯეელმა დედის ჩამწიხლავი ისე უმოწყალოდ სცემა, რომ შემოაკვდა.

მერსოიუს 2 წელიწადი მიუსაჯეს, მაგრამ ციხეში სანიმუშო ქცევისთვის ვადამდე გაათავისუფლეს. „ჩვენ მას შანს ვაძლევთ. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული, რაც შეემთხვა, ეს ბედის ამბავია, მე მხოლოდ მისი თამაში მაინტერესებს“ — თქვა რუმინელთა ფრანგმა მწვრთნელმა ბერნარ შარეირმა. მერსოიუს რუმინეთის ნაკრებში 10 მატჩი ჩაუტარებია. შარშაწინ თბილისშიც ჩამოჰყვა გუნდს, მაგრამ არ უთამაშია. ბოლოს ნაკრებში შარშანდელ ივნისს ირლანდიასთან ითამაშა, რამდენიმე დღეში კი ეს ამბავიც შეემთხვა. მერსოიუ თავის დაბა გუგესტში (ბუქარესტიდან 180 კილომეტრი) დაბრუნდა და იქაურ „პრეზიციაში“ ჩაირიცხა.

**თამილა ჭუმბურიძე**



# ორი ოქრო სამეზობლოდან

**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეები — სოხუმელი ელდარ კურტანიძე და გურჯაანელი რევაზ მინდორაშვილი ვლადიკავკაზიდან ოქროს მედლებით დაბრუნდნენ.

ვლადიკავკაზში ევროპისა და აზიური თამაშების ჩემპიონის, რუსეთის დამსახურებული მწვრთნელის ოლეგ ნანიევის ხსოვნის ტურნირი გაიმართა. შეჯიბრი ტრადიციული და „ა“ კატეგორიისაა. ტურნირში 15 ქვეყნის 200 ფალავანი მონაწილეობდა. ჩვენებურთაგან ფინალს კურტანიძემ (96 კგ) და მინდორაშვილმა (84 კგ) უწიეს.

ფინალში კურტანიძის მეტოქე ბელარუსი შემაროვი იყო. ქართველმა იოლად — 4:0 მოიგო. მინდორაშვილმა მასპინძელ კოჩიევს 3:1 სძლია.

**ბაჩო სვანიძე**



REUTERS

# შუმიმ მოაგროვა და შეუგროვა

პლანეტის პირველი მეფორმულე მიხაელ შუმახერი არც სხვა სახეობათა ფორუმებს ჰკლდება, ბურთისთვის ფეხის დალეწვა ხომ მეორე საქმედ გაუხდია. შეუგროვებია შუმის თანამეფორმულე და სხვა სპორტსმენები, მათგან ფეხბურთელთა გუნდი შეუკრავს (ცხადია, თავისი კაპიტნობით) და მეგობრულად გაპაექრებია სპორტის თოვლ-ყინულიან სახეობათა მობურთალ ვარსკვლავებს. ყველა ამათი მიზანი საქველმოქმედო ფულის შეგროვება ყოფილა.



REUTERS

# დღეს სტუმარი ხარ შენ ჩემი

ამასწინათ ამერიკამ, კერძოდ კი ნბა-მ ფართოდ მოუღო კარი და თავისთან შეიპატიჟა ძვირფასი სტუმარი, 226-სანტიმეტრიანი ჩინელი იაო მინგი. მაშინვე გამოითქვა კეთილი იმედი, რომ ჩინელი ამერიკაში მალე გაშინაურდებოდა. მანამდე კი იგი ჯერაც ჩინეთშია, სადაც ნამდვილი ოჯახის უფროსივით დაუხვდა ამერიკელთა კერპ-ვარსკვლავს ვინს კარტერს. დაგამატოთ: ლაღობა და ბურთაობა ისეთი გამოვიდა, მტერს თვალი დაუდგებოდა.

# ჭუჭყიანი სინდისით გამოჩნდა

ალენ აივერსონი ბეისბოლის თამაშზე მისულა და გამოსაჩენ ადგილზეც ჩამომჯდარა, მაგრამ სხვა სახეობათა დაფასება ვარსკვლავ კალათბურთელს კეთილ და ბოროტებისკენ არგამხედავ კაცად ძნელად აჩენს. აივერსონმა ამასწინათ ცოლი სახლიდან გააგდო და ორ დღეში იარაღით ხელში საძებნად გამოენთო. ალენს მანამდეც ბევრი გმირობა ჩაუდენია და ახლა ვინ დაგვაჯერებს, რომ მერმისში უარესს არ იზამს?!



# ინგლისიადა დაიწყო

ოდესღაც დიდი ყოფილა ინგლისი, და მისი მატრიარქის, ვიქტორიას დარბაზები ყველა სხვა დარბაზზე გამლილი და მოხატული. ჰოდა, შეყრილან ძველინგლისური მიწების ახალი სპორტსმენები ნაღდ ინგლისურ მანჩესტერში და თანამეგობრული ოლიმპიადის თუ ინგლისიადის გამართვას აპირებენ. ინგლისიადა გუშინ დაიწყო, ანუ მას შემდეგ ერთ დღეში, რაც მავანმა ფოტოგრაფმა ფირზე აღბეჭდა უელსელი ტანმოვარჯიშის მელანი რობერტსის დგირზე წვრთნა.




REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ღოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge